# სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 2021 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში

# ს ა რ ჩ ე ვ ი


იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მიმართვა

I. იურიდიული დახმარების სამსახური და მისი მანდატი
1. იურიდიული დახმარების სამსახური
2. სამსახურის მანდატი 2021 წელს
2.1 სამსახურის მანდატი სისხლის სამართალში
2.2. სამსახურის მანდატი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალში
2.3. საგამონაკლისო წესი

II. იურიდიული დახმარების სამსახურის სტრუქტურა
1. იურიდიული დახმარების სამსახურის მენეჯმენტი
2. იურიდიული დახმარების საბჭო
3. იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის სტრუქტურა
4. იურიდიული დახმარების ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები
5. საზოგადოებრივი ადვოკატები
6. საზოგადოებრივი ადვოკატების სპეციალიზაცია
7. სამსახურის საშტატო ნუსხა, კონკურსები
8. სტაჟირება, იურიდიული კლინიკა

III. იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმისაწვდომობა
1. ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაზრდა
2. ხელოვნური ინტელექტი
3. საკონსულტაციო აპლიკაცია
4. სამსახურის ვებ-გვერდები
5. გასვლითი საკონსულტაციო-საინფორმაციო ღონისძიებები
6. გასვლითი საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრების მიმოხილვა
6.1. "ეთნიკური უმცირესობებისთვის უფასო იურიდიული სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა“
6.2. „იცოდე შენი უფლება 18 წლამდე“
6.3. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16 დღიანი კამპანია
6.4. შეხვედრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან
6.5. სამთავრობო გეგმებიდან გამომდინარე ვალდებულებები
6.6. შეხვედრები შრომის სამართლის საკითხებთან დაკავშირებით
6.7. სხვა შეხვედრები

IV. მოძრაობა - "ვაქციოთ კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომი“
1. დეკლარაცია

2. მოძრაობის აქტივობები
2.1. I მიმართულება - გასვლითი საინფორმაციო-საკონსულტაციო ღონისძიებები
2.2. II მიმართულება - ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იმიტირებული პროცესები
2.3. III მიმართულება - საინფორმაციო კამპანია „იცოდე შენი უფლება 18 წლამდე“

V. რადიო გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“

VI. ჟურნალი "საზოგადოებრივი ადვოკატი"

VII. სამსახურის მიერ გაწეული მომსახურეობის ხარისხის უზრუნველყოფა
1. სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შეფასება
2. მხარდამჭერთა ჯგუფის საქმიანობა
3. განგრძობადი განათლება
3.1. ტრენინგების მიმოხილვა
4. სასწავლო მოდულები
5. სამუშაო შეხვედრები
6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია
6.1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები
6.2. რეკომენდაციების შესრულება

VIII. სამსახურის სამართლებრივი აქტივობები
1. სამსახურის ორგანიზებით ჩატარებული კონფერენციები
1.1. "ბავშვთა უფლებებთან და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების "მიმოხილვა
1.2. „ბავშვთა უფლებების დაცვა და მართლმსაჯულება“
1.3. „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება იურიდიული დახმარების სამსახურში“
2. ბენჩ-ბარი
3. სამართლებრივი კვლევები

IX. უწყებათაშორისი ურთიერთობები
1. სამსახურის მიერ გაფორმებული მემორანდუმები
2. სამთავრობო სამოქმედო გეგმები

X. საერთაშორისო ურთიერთობები და თანამშრომლობა
1. შეხვედრები
2. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის საქართველოში, მისი აღმატებულება კელი დეგნანის ვიზიტი
3. გაეროს გლობალური შეთანხმების ქსელი (GCNG)

XI. იურიდიული დახმარების საბჭოს საქმიანობა

XII. სამსახურის ადმინისტრაციული საქმიანობა
1. სამსახურის დოკუმენტბრუნვა
2. საჯარო ინფორმაციის გაცემა
3. სამსახურის ფინანსური ანგარიში
3.1. დაფინანსების წყაროები და ბიუჯეტი
3.2. 2021 წლის სახელმწიფო შესყიდვები
3.3. 2021 წლის სამსახურის მიერ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული თანხები
4. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება
5. მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი
6. სამართლებრივი დოკუმენტები
7. დისციპლინური წარმოებები
8. სამსახურის მიმართ სასამართლოში მიმდინარე დავები
9. სამსახურის მიმართ მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოებები
10. სამსახურის ახალი სიმბოლიკა

XIII. სამსახურის მიერ ნაწარმოები საქმეები (სტატისტიკური ინფორმაცია)

XIV. სამსახურის მიერ ნაწარმოები წარმატებული საქმეები

XV. სამსახურის ცნობადობა
1. სამსახურის ახალი სიმბოლიკა
2. სამსახურის ცნობადობის გაზრდა
2.1. სამსახურის ვებგვერდი
2.2. მედიაში ინფორმაციის გაშუქება
2.3. სოციალური ქსელი
2.4. გახმაურებული საქმეების გაშუაქება

XVI. საქველმოქმედო საქმიანობა

XVII. სამსახურის ოფისები და საკონტაქტო ინფორმაცია

## იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მიმართვა

კანონის უზენაესობა და სამართლებრივი მშვიდობა მიიღწევა ადამიანის უფლებების განუხრელად დაცვით. ამასთან, ადამიანის უფლებების მხოლოდ დეკლარირება, სამართლებრივი ცნობიერების გარეშე კანონიერ მართლწესრიგს ვერ უზრუნველყოფს. სწორედ საზოგადოების მაღალი სამართლებრივი ცნობიერება ქმნის ლეგიტიმურ პლატფორმას კანონის უზენაესობის რეალიზაციისათვის.

საზოგადოების ცნობიერების გარდაქმნა არის სახელმწიფოს და განსაკუთრებით უფლებადამცველი ორგანოების სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

უფლებების კონსტიტუციური დიაპაზონი არ შემოიფარგლება მხოლოდ ქვეყნის ცენტრალური რეგიონებით და იგი თანაბრად მოიცავს ცენტრისაგან მოშორებულ ადგილებსაც. შესაბამისად, ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობა და სერვისებზე წვდომა არ შეიძლება იყოს დამოკიდებული ადამიანთა ტერიტორიულ მდებარეობაზე.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამართლებრივი წესრიგის სიცოცხლისუნარიანობისათვის უფლებების დაცვის მექანიზმებზე ტერიტორიული ხელმისაწვდომობა უპირველესია თუმცა, ასევე საჭიროებს დამატებით ნაბიჯებს თავად უფლებების დაცვის მიმართ საზოგადოების სენსიტიურობის ჩამოყალიბებისათვისაც.

უფლებრივი ბალანსის უზრუნველყოფისათვის, სამსახური 2019 წლიდან აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს ცენტრებისაგან მოშორებულ რეგიონებში. 2021 წელი ამ მიმართებით გლობალური პანდემიის მიუხედავად იყო ერთ-ერთი წარმატებული.

იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების მიწოდებასთან ერთად, სამსახურის აქტივობები მიმართული იყო საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებისაკენ. ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაზრდასთან ერთად, 2021 წელს საფუძველი ჩაეყარა ფართომასშტაბიან მოძრაობას „ვაქციოთ კანონი ხელმისაწვდომი ყველასათვის“, დაინერგა ახალი სერვისები და გადაიდგა ნაბიჯები მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

2021 წელს, სამსახური მიერ დაწყებული პროექტები არის საკმაოდ ამბიციური. ამასთან, მათი განხორციელების სახელმწიფოებრივი, სოციალური და პიროვნული შედეგები იქნება ფასდაუდებელი ადამიანის უფლებების დაცვისა და ურთიერთობების სამართლებრივი ნორმატივებში მოსაქცევად.

*რაჟდენ კუპრაშვილი*

# I. იურიდიული დახმარების სამსახური და მისი მანდატი

## 1. იურიდიული დახმარების სამსახური

იურიდიული დახმარების სამსახური არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და უზრუნველყოფს იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობას საქართველოს კონსტიტუციის, „იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და სამსახურის დებულების საფუძველზე.

იურიდიული დახმარების სამსახური არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო ორგანოს და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 2. სამსახურის მანდატი 2021 წელს

იურიდიული დახმარების სამსახური გასცემს იურიდიულ კონსულტაციასა და მანდატის ფარგლებში იურიდიულ დახმარებას.

***იურიდიული კონსულტაცია*** არის ხელმისაწვდომი სამართლებრივი რჩევა ყველასათვის ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე სახელმწიფოს ხარჯზე. კონსულტაცია ხელმისაწვდომია, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისთვის.

***იურიდიული დახმარება*** მოიცავს სამართლებრივი დოკუმენტების შედგენას, წარმომადგენლობას სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით და ადმინისტრაციულ ორგანოში, აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესში სახელმწიფოს ხარჯზე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

### იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირი/ გადახდისუუნარო პირი

იურიდიული დახმარების სამსახურის მიზნებისთვის გადახდისუუნარო პირი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის №424 დადგენილებით. აღნიშნული დადგენილების თანახმად: გადახდისუუნაროდ ითვლება სოციალურად დაუცველი პირი, რომლის სარეიტინგო ქულა შეადგენს 70 000 ან ნაკლებს;

გარდა ამისა, გადახდისუუნაროდ, ასევე, ითვლება 100 000 ან ნაკლები ქულის მქონე სოციალურად დაუცველი, რომელიც მიეკუთვნება შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთს:

- მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰყავს 3 ან მეტი 18 წელს მიუღწეველი ბავშვი;
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი;

• 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვი;
• რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი.

## 2.1 სამსახურის მანდატი სისხლის სამართალში

სისხლის სამართლის საქმეებში იურიდიული დახმარების სამსახური წარმოადგენს და იცავს შემდეგ პირებს:

### ბრალდებული (სავალდებულო დაცვა)

გადახდისუუნარო ბრალდებული, თუ ის მოითხოვს ადვოკატის დანიშვნას. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლი ითვალისწინებს შემთხვევებს რა დროსაც სავალდებულოა პირს ჰყავდეს ადვოკატი მიუხედავად გადახდისუნარიანობისა:

ა) თუ არასრულწლოვანია;
ბ) თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;
გ) თუ აქვს შესაძლებლობის იმგვარი შეზღუდვა, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას;
დ) თუ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;
ე) თუ ჩადენილი ქმედებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით;
ვ) თუ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე;
ზ) თუ სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო;
თ) თუ თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას;
ი) თუ გააძევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან;
კ) თუ არაიდენტიფიცირებული პირია;
კ1) თუ განიხილება მისი გამარტივებული პროცედურის გამოყენებით უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციის საკითხი;
ლ) ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

იურიდიული დახმარების სამსახური ვერ დანიშნავს ადვოკატს, თუ პირი უკვე სარგებლობს საკუთარი ხარჯებით აყვანილი ადვოკატის მომსახურებით.
იურიდიული დახმარების სამსახური უფასო სამართლებრივ მომსახურებას უზრუნველყოფს ბიუროების, საკონსულტაციო ცენტრებისა და მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის მეშვეობით.

### ბრალდებული/მსჯავრდებული (ადვოკატის დანიშვნის სხვა საფუძვლები)

სასამართლო უფლებამოსილია, ბრალდებულს ან მსჯავრდებულს დაუნიშნოს ადვოკატი სავალდებულო წესით თუ ბრალდებულის ან მსჯავრდებულის ადვოკატი არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება სასამართლოში, რაც, სასამართლოს შეფასებით, აჭიანურებს საქმის განხილვას; თუ ბრალდებულის ან მსჯავრდებულის ადვოკატი საპატიო მიზეზით არ ცხადდება სასამართლოში, სასამართლო სხდომას გადადებს არაუმეტეს 10 დღით. ამ ვადის გასვლის შემდეგ სასამართლო უფლებამოსილია, ბრალდებულს ან მსჯავრდებულს დაუნიშნოს ადვოკატი სავალდებულო წესით;

### *ბრალდებული, მსჯავრდებული (18 დან 21 წლამდე პირი)*

18 წლიდან 21 წლამდე ბრალდებული ან მსჯავრდებული სარგებლობს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით (მოთხოვნის შემთხვევაში);

## *2.2. სამსახურის მანდატი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალში*

სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის საქმეებში იურიდიული დახმარების სამსახური წარმოადგენს და იცავს შემდეგ პირებს:

### *გადახდისუუნარო პირი*

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების ნაწილში იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილია (ადმინისტრაციულ ორგანოში/სასამართლოში წარმომადგენლობა), საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით;

### *ბრალდებული/მსჯავრდებული*

პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური წარმოებისას ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით, პირის გადახდისუუნარობის შემთხვევაში;

### *სამართალდამრღვევი/სავარაუდო სამართალდამრღვევი*

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული წარმოებისას სავარაუდო სამართალდამრღვევი/სამართალდამრღვევი უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით, პირის გადახდისუუნარობის შემთხვევაში თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის სახით გათვალისწინებულია მხოლოდ ადმინისტრაციული პატიმრობა ან ადმინისტრაციული პატიმრობა სხვა სახის სახდელთან ერთად;

### *პაციენტი/მსჯავრდებული*

არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებისას პაციენტი/ბრალდებული უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით, პირის გადახდისუნარიანობის მიუხედავად;

### პაციენტი

პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმის სასამართლოში განხილვისას პირი უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით, პირის გადახდისუნარიანობის მიუხედავად;

### არასრულწლოვანთა დაცვა

იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს იურიდიულ კონსულტაციასა და იურიდიულ დახმარებას არასრულწლოვნებისთვის, თუ საქმეში არ მონაწილეობს მის მიერ აყვანილი ადვოკატი.

არასრულწლოვანი სარგებლობს უფასო იურიდიული დახმარებით მიუხედავად გადახდისუნარიანობის ფაქტისა, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან მიმართებით (სასამართლოში და ადმინისტრაციულ ორგანოში).

იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ყველა არასრულწლოვნისთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების, აგრეთვე ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების საშუალებით.

### შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვა

იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს იურიდიულ კონსულტაციასა და იურიდიულ დახმარებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, თუ საქმეში არ მონაწილეობს მათ მიერ აყვანილი ადვოკატი.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი სარგებლობს უფასო იურიდიული კონსულტაციით, სამართლებრივი დოკუმენტების შედგენით საჭიროების შემთხვევაში, ასევე, საადვოკატო მომსახურებით სასამართლოში სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე, მათ შორის, წარმომადგენლობით ადმინისტრაციული წარმოებისას.

### მხარდამჭერის მიმღებ პირთა დაცვა

იურიდიული დახმარების სამსახური საკუთარი უფლებების დასაცავად მხარდამჭერის მიმღებ

პირებს სთავაზობს უფასო იურიდიულ კონსულტაციას, სამართლებრივი დოკუმენტების შედგენას საჭიროების შემთხვევაში და წარმომადგენლობას სასამართლოში სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით.

წარმომადგენლობა სასამართლოში სამოქალაქო საქმეებთან მიმართებით უზრუნველყოფილია, თუ პირისთვის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც უნდა განიხილოს სასამართლომ. ასევე, თუ მხარდაჭერის მიმღები პირი წარმოადგენს მხარეს სამოქალაქო საქმეზე.

წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ საქმეებზე უზრუნველყოფილია თუ მხარდაჭერის მიმღები პირი წარმოადგენს მხარეს ადმინისტრაციულ საქმეზე.

პირს, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, უნდა ჰყავდეს ადვოკატი მიუხედავად მისი გადახდისუუნარობისა და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობისა, ასევე, საქმის მნიშვნელობის და სირთულის მიუხედავად.

### ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/სავარაუდო მსხვერპლთა დაცვა

იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს იურიდიულ კონსულტაციასა და იურიდიულ დახმარებას ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისა და სავარაუდო მსხვერპლებისათვის, თუ საქმეში არ მონაწილეობს მათ მიერ აყვანილი ადვოკატი. იურიდიულ დახმარებაში იგულისხმება, როგორც სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება საჭიროებისამებრ, ასევე, წარმომადგენლობა სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით საქმის სირთულისა და მნიშვნელობის მიუხედავად, თუ საქმეში არ მონაწილეობს ძალადობის მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლის მიერ აყვანილი ადვოკატი.

წარმომადგენლობა სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმესთან დაკავშირებით უზრუნველყოფილია, თუ სასამართლო განიხილავს დამცავი ორდერის გამოცემის საკითხს, აღნიშნულ შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლი სავარაუდო მსხვერპლი არ არის სავალდებულო იყოს გადახდისუუნარო. რაც შეეხება შემაკავებელი ორდერის გამოცემის საკითხს, აღნიშნულ შემთხვევაში აუცილებელია ძალადობის მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი აკმაყოფილებდეს გადახდისუუნარობის კრიტერიუმს.

წარმომადგენლობა სასამართლოში სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით უზრუნველყოფილია იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს განსახილველი საკითხი გამომდინარეობს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტიდან. მოცემულ შემთხვევაში არ არის სავალდებულო პირი იყოს გადახდისუუნარო.

### თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა დაცვა

იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს იურიდიულ კონსულტაციას, სამართლებრივი დოკუმენტების შედგენასა და სასამართლოში წარმომადგენლობას სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით.

აღნიშნული პირები სარგებლობენ, იურიდიული კონსულტაციით, იურიდიული დოკუმენტების შედგენითა და წარმომადგენლობით ადმინისტრაციულ სასამართლოში, სადაც განიხილება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული დავა.

დოკუმენტების შედგენა უზრუნველყოფილია მიუხედავად თავშესაფრის მაძიებლის /საერთაშორისო დაცვის მქონე პირის გადახდისუნარიანობის ფაქტისა, ხოლო სასამართლოში წარმომადგენლობა კი, მიუხედავად გადახდისუნარიანობისა და საქმის მნიშვნელობის და სირთულის ფაქტისა.

ადმინისტრაციულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოში წარმომადგენლობა უზრუნველყოფილია, თუ სასამართლო განიხილავს პირის საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებულ დავას.

## 2.3. საგამონაკლისო წესი

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა იურიდიული დახმარების საბჭოს მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება იმ პირისთვის იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი.

### იურიდიული დახმარების საბჭოს მიერ განსაზღვრული იურიდიული დახმარების გაწევის კრიტერიუმები

- პირი მომართვამდე რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელიც საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ივნისის #424 დადგენილების შესაბამისად ითვლებოდა გადახდისუუნაროდ და ენიჭებოდა სახელმწიფო ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება, მაგრამ მომართვისას მისი ბოლო მონაცემი გადასულია არქივში;

- თუ პირის ოჯახი არაა რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში და წარმოდგენილი სარწმუნო დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დასკვნისათვის, რომ მისი ოჯახი იმყოფება ისეთ მძიმე სოციალურ მდგომარეობაში, რომელიც შეუძლებელს ხდის მათ მიერ ადვოკატის დაქირავებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების მოძიებას.

- პირი დაავადებულია მძიმე ან განუკურნებელი დაავადებით, რომლის ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის,

2013 წლის 15 თებერვლის, №01-6/ნ ბრძანებით, ასევე საქართველოს მთავრობის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ შესაბამისი დადგენილებით და არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი.

- მარტოხელა მშობელი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი.

- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირი, ან მისი გარდაცვალების შემთხვევაში მისი პირველი რიგის მემკვიდრე, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი.

- ასაკით პენსიონერი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი.

- პირი, იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებული ადვოკატი, ადვოკატის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავია და არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი.

- მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი.

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის"ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი.

- საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირის ,,კათარზისის'' (სათნოების სახლი) ბენეფიციარი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი.

- არასრულწლოვანი პირი, რომელიც შესაძლოა იყოს მხარე სამოქალაქო/ადმინისტრაციულ საქმეებზე და რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი.

- პირი, რომელსაც ოჯახში კონფლიქტის ან/და ერთობლივ შემოსავალზე შეზღუდული წვდომის არსებობის შემთხვევაში ესაჭიროება იურიდიული დახმარება.

# II. იურიდიული დახმარების სამსახურის სტრუქტურა

## 1. იურიდიული დახმარების სამსახურის მენეჯმენტი

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი - რაჟდენ კუპრაშვილი;
დირექტორის პირველი მოადგილე - ნინო მელაძე;
დირექტორის მოადგილე - სულხან გველესიანი;
დირექტორის მოადგილე - ირაკლი შონია.

## 2. იურიდიული დახმარების საბჭო

- რამაზ ჩინჩალაძე - იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია;
- თეა ჭეიშვილი - იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია;
- პავლე აბაიაძე - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია;
- სოფო ჩაჩავა - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებისაგან შერჩეული წევრი);
- ირაკლი გვარამაძე - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. (ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წარმომადგენლებისგან შერჩეული წევრი);
- თამარ გვარამაძე - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;
- ზაზა ხარებავა - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
- მაკა რევია - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური;

## 3. იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის სტრუქტურა

- ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო;
- საქმისწარმოების სამმართველო;
- ფინანსური, შესყიდვების,საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველო;
- შიდა აუდიტის სამმართველო;
- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო;
- სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე, იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველო;
- მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრისა და იურიდიული საქმისწარმოების პროგრამის მართვის სამმართველო;

- სისხლის სამართლის საქმეებზე, იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველო;
- იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი;
- სამდივნო.

## 4. იურიდიული დახმარების ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები

### 4.1. იურიდიული დახმარების 13 ბიურო:

- თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო;
- ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო;
- ბათუმის იურიდიული დახმარების ბიურო;
- ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო;
- ახალციხის იურიდიული დახმარების ბიურო;
- გორის იურიდიული დახმარების ბიურო;
- ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო;
- თელავის იურიდიული დახმარების ბიურო;
- მცხეთის იურიდიული დახმარების ბიურო;
- ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიურო;
- რუსთავის იურიდიული დახმარების ბიურო;
- სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიურო;
- ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო.

### 4.2. 30 საკონსულტაციო ცენტრი:

- ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი;
- მესტიის საკონსულტაციო ცენტრი;
- საჩხერის საკონსულტაციო ცენტრი;
- ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრი;
- წალკის საკონსულტაციო ცენტრი;
- მარნეულის საკონსულტაციო ცენტრი;
- დმანისის საკონსულტაციო ცენტრი;
- დუისის საკონსულტაციო ცენტრი;
- დუშეთის საკონსულტაციო ცენტრი;
- ყვარლის საკონსულტაციო ცენტრი;
- ლაგოდეხის საკონსულტაციო ცენტრი;
- შუახევის საკონსულტაციო ცენტრი;
- ხულოს საკონსულტაციო ცენტრი;
- ქობულეთის საკონსულტაციო ცენტრი;
- წალენჯიხის საკონსულტაციო ცენტრი;
- აბაშის საკონსულტაციო ცენტრი;

- ჩხოროწყუს საკონსულტაციო ცენტრი;
- სენაკის საკონსულტაციო ცენტრი;
- მარტვილის საკონსულტაციო ცენტრი;
- ხობის საკონსულტაციო ცენტრი;
- ბაღდათის საკონსულტაციო ცენტრი;
- წყალტუბოს საკონსულტაციო ცენტრი;
- ჭიათურის საკონსულტაციო ცენტრი;
- ქედის საკონსულტაციო ცენტრი;
- ცაგერის  საკონსულტაციო ცენტრი;
- დედოფლისწყაროს საკონსულტაციო ცენტრი;
- ახმეტის საკონსულტაციო ცენტრი;
- ლენტეხის საკონსულტაციო ცენტრი;
- ონის საკონსულტაციო ცენტრი;
- ხაშურის საკონსულტაციო ცენტრი

### 4.3. 1 დისტანციური მომსახურების ცენტრი:

- წეროვანი, დევნილთა დასახლება.

## 5. საზოგადოებრივი ადვოკატები

| იურიდიული დახმარების ბიურო | საზოგადოებრივი ადვოკატები | ბიუროს უფროსი |
|---|---|---|
| თბილისი | 50 | 1 |
| ახალციხე | 6 | 1 |
| ბათუმი | 12 | 1 |
| გორი | 5 | 1 |
| ზესტაფონი | 6 | 1 |
| ზუგდიდი | 7 | 1 |
| თელავი | 6 | 1 |
| მცხეთა | 5 | 1 |
| ოზურგეთი | 3 | 1 |
| რუსთავი | 12 | 1 |
| სიღნაღი | 3 | 1 |
| ფოთი | 5 | 1 |
| ქუთაისი | 10 | 1 |

## 6. საზოგადოებრივი ადვოკატების სპეციალიზაცია

| იურიდიული დახმარების ბიურო | სისხლის სამართლის სპეციალიზაცია | სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია | არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება | ბავშვის უფლებათა კოდექსი |
|---|---|---|---|---|
| თბილისი | 37 | 14 | 37 | 17 |
| მცხეთა | 4 | 2 | 4 | 3 |
| გორის | 4 | 2 | 5 | 2 |
| რუსთავი | 10 | 3 | 13 | 2 |
| თელავი | 5 | 2 | 6 | 3 |
| სიღნაღი | 3 | 1 | 4 | 1 |
| ახალციხე | 5 | 2 | 3 | 6 |
| ზესტაფონი | 5 | 2 | 5 | 2 |
| ქუთაისი | 9 | 2 | 11 | 4 |
| ფოთი | 4 | 2 | 5 | 2 |
| ზუგდიდი | 6 | 2 | 7 | 1 |
| ბათუმის | 10 | 3 | 5 | 3 |
| ოზურგეთი | 2 | 2 | 2 | 2 |

## *7. სამსახურის საშტატო ნუსხა, კონკურსები*

იურიდიული დახმარების სამსახურის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 225 საშტატო ერთეულს.

2021 წლის მონაცემებით, საშტატო ნუსხით განსაზღვრულ პოზიციებზე დასაქმებული თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 168-ს. შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულია 122 თანამშრომელი (მათ შორის 23 მძღოლი და 12 ბიუროს სპეციალისტი). მათ შორის, დროებითი ფუნქციების შესრულების მიზნით, წლის სხვადასხვა პერიოდში დასაქმებულ იქნა 51 თანამშრომელი;

2021 წელს, ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს მიერ გამოცხადებულ იქნა 32 გამარტივებული და 1 ღია კონკურსი. 15 ვაკანსიაზე კონკურსის შედეგად შერჩეულ იქნენ შესაბამისი კანდიდატები.

სამსახურის აპარატში გამოცხადებული კონკურსის შედეგად კანდიდატი შერჩეულ იქნა შემდეგ პოზიციაზე:

- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - 1

იურიდიული დახმარების ბიუროებში გამოცხადებული კონკურსის შედეგად კანდიდატები შერჩეულ იქნენ შემდეგ პოზიციებზე:

- საზოგადოებრივი ადვოკატი - 9 პოზიცია;
- კონსულტანტი - 1;
- კონსულტანტ-ოპერატორი - 3;
- ბიუროს სპეციალისტი - 1.

## 8. სტაჟირება, იურიდიული კლინიკა

იურიდიული დახმარების სამსახურში ფუნქციონირებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის შედეგად შექმნილი და მოქმედი სასწავლო პროგრამის პრაქტიკული კურსი - იურიდიული კლინიკა, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ გაიღრმავონ თეორიული ცოდნა, პრაქტიკოს ადვოკატებთან ერთად რეალურ საქმეებზე მუშაობის შედეგად გამოიმუშავონ, განივითარონ ადვოკატისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება.

სწავლების პროცესი მიმდინარეობს საკონტაქტო (პრაქტიკული მუშაობა, კლინიკის ანგარიშის პრეზენტაცია) და დამოუკიდებელი მუშაობის (დასკვნითი გამოცდისათვის კლინიკური სწავლების ანგარიშის მომზადება და სხვა) ფორმატით.

იურიდიული დახმარების სამსახურის კლინიკა ხელმისაწვდომია საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების დამამთავრებელი და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის.

2021 წელს, COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე, უნივერსიტეტებში სწავლება მიმდინარეობდა დისტანციურ რეჟიმში. შესაბამისად, იურიდიული დამხარების სამსახურმა სტუდენტებს შესთავაზა სტაჟირების ჰიბრიდული მოდელი. კლინიკის ფარგლებში მათ შეეძლოთ, როგორც დისტანციურად, ისე ჩვეულ ფორმატში მიეღოთ მონაწილეობა კლინიკის პროგრამაში.

2021 წელს, იურიდიული კლინიკის ფარგლებში იურიდიული დახმარების სამსახურში სტაჟირება გაიარა 4 უმაღლესი სასწავლებლის 67-მა სტუდენტმა.

2021 წლის გაზაფხულის სემესტრი:
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 3 სტუდენტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი - 18 სტუდენტი.

2021 წლის შემოდგომის სემესტრი:
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 9 სტუდენტი;
- სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი - 23 სტუდენტი;
- თბილისის ღია უნივერსიტეტი -10 სტუდეტი;
- შოთა მესიხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი - 4 სტუდენტი.

2021 წელს, სამსახურში პირადი განცხადების საფუძველზე არასაუნივერსიტეტო ურთიერთობების ფარგლებში სტაჟირება გაიარა 16-მა სტაჟიორმა;



# III. იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმისაწვდომობა

## 1. ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაზრდა

**2021 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურმა რეგიონებში გახსნა 5 საკონსულტაციო ცენტრი. კერძოდ:**

- დედოფლისწყაროს საკონსულტაციო ცენტრი - 2021 წლის 8 ივნისი;
- ახმეტის საკონსულტაციო ცენტრი - 2021 წლის 10 ივნისი;
- ლენტეხის საკონსულტაციო ცენტრი - 2021 წლის 30 ივნისი;
- ონის საკონსულტაციო ცენტრი - 2021 წლის 1 ივლისი;
- ხაშურის საკონსულტაციო ცენტრი - 2021 წლის 16 ივლისი.

საკონსულტაციო ცენტრების გახსნის ღონისძიებებთან ერთად ადგილობრივ მოსახლეობასთან, მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციის, სოციალური სამსახურების წარმომადგენლებთან და სოფლების რწმუნებულებთან გაიმართა საინფორმაციო-საკონსულტაციო ღონისძიებები, რომლებსაც დაესწრო 200-ზე მეტი ადამიანი. შეხვედრაზე დამსწრე პირებს მიეწოდათ ინფორმაცია შემდეგ სამართლებრივ საკითხებზე:

- უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემა საქართველოში და დახმარების მიღების კრიტერიუმები;
- მიწის რეგისტრაცია;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხები;
- ბავშვის უფლებები;
- სექსუალური შევიწროება;
- ადმინისტრაციული ჯარიმები პანდემიური შეზღუდვების დროს;
- შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებები.

**2021 წლის 8 ივნისს,** დედოფლისწყაროში გაიხსნა იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი. გახსნის ღონისძიების შემდგომ გაიმართა შეხვედრა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან, სოფლების რწმუნებულებთან და მოსახლეობასთან. სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია უფასო იურიდიული დახმარების მიღების კრიტერიუმებზე და ასევე უპასუხა მოსახლეობის შეკითხვებს. ღონისძიებას დაესწრო 50-მდე ადამიანი. ღონისძიება განხორციელდა პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში" (USAID/PROLoG) მხარდაჭერით.

**2021 წლის 10 ივნისს,** ახმეტაში გაიხსნა იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი. გახსნის ღონისძიების შემდეგ, ახმეტის კულტურის სახლში გაიმართა შეხვედრა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან, სოფლების რწმუნებულებთან და მოსახლეობასთან. შეხვედრაზე იურიდიული დახმარების სამსახურის

დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები, უფასო სამართლებრივი დახმარების მიღების კრიტერიუმები. დისკუსიის რეჟიმში განხორციელდა მოსახლეობისათვის საინტერესო სამართლებრივი საკითხების განხილვა. ღონისძიებას დაესწრო 50-მდე ადამიანი. ღონისძიება განხორციელდა პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართ ველოში“ (USAID/PROLoG) მხარდაჭერით.

**2021 წლის 30 ივნისს,** ლენტეხში გაიხსნა იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი. გახსნის ღონისძიებაში მონაწილეობდა სახელმწიფო რწმუნებული რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში პაპუნა მარგველიძე, რომელმაც ყურადღება გაამახვილა საკონსულტაციო ცენტრის საჭიროებაზე. ღონისძიებას დასწრო 50-მდე ადამიანი. ღონისძიება განხორციელდა პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართვ ელოში“ (USAID/PROLoG) მხარდაჭერით.

**2021 წლის 1 ივლისს,** ონში გაიხსნა იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი. ოფისის გახსნის ოფიციალური ცერემონიის შემდეგ, ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის შენობაში გაიმართა შეხვედრა მოსახლეობასთან, რომელსაც ესწრებოდნენ მერიის, საკრებულოს წარმომადგენლები, სოფლების რწმუნებულები, ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები და რიგითი მოქალაქეები. ღონისძიებას დაესწრო 42 ადამიანი. ღონისძიება განხორციელდა პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) მხარდაჭერით.

**2021 წლის 16 ივლისს**, ხაშურში გაიხსნა საკონსულტაციო ცენტრი. ცენტრის გახსნის შემდეგ, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა ხაშურის საკრებულოს შენობაში მოსახლეობას გააცნო იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები. შეხვედრას დაესწრო 32 ადამიანი. ღონისძიება განხორციელდა პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) მხარდაჭერით.

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ცნობადობის გაზრდისა და საკონსულტაციო ცენტრების გახსნის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისათვის ინფორმაცია გავრცელდა ადგილობრივი მედია საშუალებებით.

## 2. ხელოვნური ინტელექტი

2021 წელს, გერმანულ კომპანიასთან - KNOWLEDGETOOLS დაიწყო მოლაპარაკებები ხელოვნური ინტელექტის დანერგვასთან დაკავშირებული პროგრამის სამსახურისათვის უსასყიდლოდ გადმოცემის შესახებ.

იურიდიული დახმარების სამსახური არის პირველი უწყება საქართველოში, რომელიც პრაქტიკულ საქმიანობაში, იურიდიული კონსულტაციების გაცემისას ხელოვნურ ინტელექტს გამოიყენებს.

ინოვაციური სერვისი, რომელიც უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემაში დაინერგება, მნიშვნელოვნად გაზრდის ხელმისაწვდომობას იურიდიულ დახმარებაზე და დაზოგავს კონსულტანტებისა და ბენეფიციართა დროს. ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, რამდენიმე დამაზუსტებელი შეკითხვის საშუალებით, სამსახურის კონსულტანტებს საშუალება ექნებათ რამდენიმე წუთში გასცენ წერილობითი კონსულტაცია. გარდა დაზოგილი რესურსებისა, სამსახურს ექნება განზოგადებული მიდგომა გაწეული კონსულტაციების მიმართ, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს გაწეული კონსულტაციების ხარისხის უზრუნველყოფას.

იურიდიული დახმარების სამსახურისთვის ხელოვნურ ინტელექტის პროგრამის შექმნაში ეხმარება პლატფორმა https://www.knowledgetools.de, რომელიც ასევე პირველია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და მისი დახმარებით ხელოვნური ინტელექტი წარმატებით დაინერგა ბუნდესტაგისა და გერმანიის რამდენიმე სამინისტროს სერვისებში.

2021 წლის 30 სექტემბერს, „შერატონ მეტეხი პალასში“, იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა კონფერენცია „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება იურიდიული დახმარების სამსახურში“.

კონფერენციაზე მოხსენება წარადგინა რაჟდენ კუპრაშვილმა. კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოში ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონფერენციაზე ონლაინ რეჟიმში გერმანიიდან ჩაერთნენ კომპანია „ნოულიჯ თულს ინთერნეიშენალის“ (Knowelidge Tools International) დამფუძნებელი თილო ვენდი, სამართლის ინჟინერი ოსკარ ფონ კოსელი. ხელოვნური ინტელექტის ალგორითმის პროგრამა მიმოიხილა შტეფან ბრაიდენბახმა, ხოლო პროგრამის პრაქტიკული პრეზენტაცია წარადგინა ლადო სირდაძემ.

კონფერენციის მონაწილეებმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს იურიდიული დახმარების სამსახურის ინოვაციური პროექტის განხორციელებაში.

2021 წლის 04 ოქტომბერს, რადიო იმედი გადაცემაში „სამართლებრივი რჩევები“, სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და გადაცემის სტუმარმა პროფესორმა და სამართლის ინჟინერმა ზვიად გაბისონიამ ისაუბრეს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე და იმ უპირატესობებზე, რაც პროგრამას გააჩნია.

### 3. საკონსულტაციო აპლიკაცია

2021 წელს, შეიქმნა საკონსულტაციო მობილური აპლიკაცია, სადაც უფასო იურიდიულ კონსულტაციას მიიღებენ 3 კატეგორიის ბენეფიციარები:

- ძალადობის მსხვერპლი ქალები;
- ბავშვები;
- წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლები.

კონსულტაციას დამკვალიანებელი ხასიათი აქვს და იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს სურს დამატებითი იურიდიული მომსახურების მიღება უნდა მიმართოს სამსახურის საზოგადოებრივ ადვოკატებს და გაიაროს პირადი კონსულტაცია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სურვილის შემთხვევაში ბენეფიციარს შესაძლებლობა აქვს არ გაამჟღავნოს საკუთარი ვინაობა და დარჩეს ანონიმურად.

აპლიკაცია ხელმისაწვდომია მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მცხოვრები პირისთვის. 2022 წლიდან შესაძლებელი იქნება კონსულტაციის ინგლისურ და რუსულ ენებზე მიღება.

აპლიკაციის ჩამოტვირთვა შესაძლებელია, როგორც „ანდროიდის“, ისე „აიოსის“ მეშვეობით.

## 4. სამსახურის ვებ-გვერდები

2021 წელს, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა იურიდიული დახმარების სამსახურის ბავშვთა ვებგვერდის - www.children.las.ge.

ვებგვერდზე წარმოდგენილია მოზარდებისათვის საინტერესო და სასარგებლო ინფორმაცია, როგორც იურიდიულ თემებზე, ასევე, ფსიქოლოგიურ, სოციალურ საკითხებზე. ვებგვერდზე განთავსებულია ფორუმი, სადაც მოსწავლეები და მშობლები მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავენ. გარდა ამისა, მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია მხატვრული ლიტერატურა და ფილმები.

ვებგვერდი შვიდენოვანია (ქართული, ინგლისური, რუსული, სომხური აზერბაიჯანული, ოსური და აფხაზური) და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის (სმენადაქვეითებული, სუსტი და მხედველობის არმქონე).

საბავშვო ვებგვერდი შემოქმედებითად ინოვაციურია. მას ჰყავს ერთგვარი „მასპინძელი“ სახელად „ლილი“ - ეს არის ანიმაციური ფიგურა -„უფლებადამცველი/ ადვოკატი“ ქალი, რომელიც ყველა ბავშვის მეგობარია და „ბავშვურ“ ენაზე განუმარტავს მოზარდებს, თუ როგორ უნდა ისარგებლონ ვებგვერდით, როგორ უნდა მოიქცნენ, როცა პოლიცია გააჩერებთ და სხვა რჩევებს აძლევს საიტის სტუმრებს სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

2021 წელს, დაიწყო სამსახურის ვებ-გვერდის განახლება. განახლებულ ვებ-გვერდზე სხვა მრავალ სიახლესთან ერთად, ბენეფიციარებს ექნებათ შესაძლებლობა სტანდარტული კითხვების მონიშვნით მიიღონ სამართლებრივი კონსულტაცია.

## 5. გასვლითი საკონსულტაციო-საინფორმაციო ღონისძიებები

2021 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურმა ჩაატარა 43 საინფორმაციო გასვლითი შეხვედრა შემდეგ ლოკაციებზე:

- თბილისი,
- ბათუმი,
- ქუთაისი,
- ეწერფელდი (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი),
- საგარეჯო,
- დელიფი (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი),
- ეშტია (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი),
- მანხუთი (ბოლნისის მუნიციპალიტეტი),
- თეთრიწყარო,
- ქვემო სამსარი (ახალქალაქის მუნიციპალიტეტი),
- გარდაბანი,
- წალკა,
- წყალტუბო,
- დედოფლისწყარო,
- ახმეტა,
- ხვითი (კასპის მუნიციპალიტეტი),
- ცაგერი,
- ლენტეხი,
- ონი,
- გორი,
- ხაშური,
- ახალციხე,
- არბო (გორის მუნიციპალიტეტი),
- ქედა, რიყე (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი),
- ახალციხე,
- დირბი (ქარელის მუნიციპალიტეტი),
- ხომი-ჩარგალი (დუშეთის მუნიციპალიტეტი) და
- ხელვაჩაური.

გასვლითი შეხვედრების ნაწილი ჩატარდა პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. კერძოდ, შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი,

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/ProLog), თბილისის ახალგაზრდული ცენტრი (PITA), საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG), ევროპის საბჭო (CoE), "ფიფლ ინ ნიდ"-ის პროექტი - „შრომის უფლებების ადვოკატირება საქართველოში“, ააიპ "ინფორმაციული დეველოპერული ჰაბი".

## *6. გასვლითი საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრების მიმოხილვა*

### *6.1. "ეთნიკური უმცირესობებისთვის უფასო იურიდიული სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა“*

2021 წლის მარტში, აპრილსა და მაისში იურიდიული დახმარების სამსახურმა, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, პროექტის - „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/Prolog), თბილისის ახალგაზრდული ცენტრისა (PITA) და საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) მხარდაჭერით, განახორციელა საინფორმაციო კამპანია: "ეთნიკური უმცირესობებისთვის უფასო იურიდიული სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა".

პროექტის განხორციელებაში ჩართული იყვნენ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები, რომლებიც, იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტების მიერ წინასწარ გადამზადდნენ ტრენერებად. ახალგაზრდა ტრენერებთან განხორციელდა 4 შეხვედრა. კერძოდ, 16, 19, 23 და 26 მარტს.

შეხვედრები გაიმართა:

- საგარეჯოს მოსახლეობასთან (15 აპრილი),
- გარდაბნის მერიის წარმომადგენლებთან (22 აპრილი),
- ქალაქ გარდაბნის მცხოვრებლებთან (18 მაისი),
- გარდაბნის რაიონის სოფ ქესალოს ახალგაზრდებთან (22 აპრილი),
- წალკის მოსახლეობასთან (19 მაისი),
- ნინოწმინდის რაიონის სოფელ ეშტიას (21 აპრილი) მოსახლეობასთან
- ნინოწმინდის რაიონის სოფელ დელიფის (20 აპრილი) მოსახლეობასთან,
- ქალაქ ახალქალაქის მცხოვრებლებთან (27 აპრილი),
- ახლაქალაქში სტუდენტებთან (27 აპრილი),
- ახალქალაქის მერიის წარმომადგენლებთან (26 აპრილი),
- ახალქალაქის რაიონის სოფელ ქვემო სამსარას მცხოვრებლებთან (22 აპრილი),
- დმანისის მოსახლეობასთან (26 აპრილი),
- ქალაქ ბოლნისის მცხოვრებლებთან (27 აპრილი),
- ბოლნისის რაიონის სოფელი მანხუთის ახალგაზრდებთან (21 აპრილი),
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციასთან (22 აპრილი).

შეხვედრებს საერთო ჯამში ეთნიკური უმცირესობების 500-მდე წარმომადგენელი დაესწრო.

2021 წლის 21 მაისს, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართა საინფორმაციო კამპანიის დასკვნითი ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ პროექტში ჩართული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები.

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა თეა ახვლედიანმა, მადლობა გადაუხადეს პროექტის მონაწილეებს და შესაბამისი სერტიფიკატები გადასცეს.

## *6.2. „იცოდე შენი უფლება 18 წლამდე“*

- **2021 წლის 19 მარტს,** იურიდიული დახმარების სამსახურის ანალიტიკური სამმართველოს ანალიტიკოსები ონლაინ რეჟიმში შეხვდნენ არასრულწლოვნებს. შეხვედრის ორგანიზატორი იყო ააიპ "ინფორმაციული დეველოპერული ჰაბი", რომელთანაც 2020 წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

შეხვედრის თემა იყო "ბავშვის უფლებათა კოდექსთან დაკავშირებული საკითხები.“ დისკუსიაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქუთაისის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები. მათ იურისტებისაგან მიიღეს კვალიფიციური განმარტებები სხვადასხვა საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე.

- **2021 წლის 17 სექტემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი შეხვდა მესტიის მეორე საჯარო სკოლის უფროსკლასელებს და ესაუბრა ბავშვთა უფლებებსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე.

მოსწავლეებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები ადგილობრივ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა ნაწილი გლობალური პანდემიას უკავშირდებოდა. ბავშვებმა გამოთქვეს არაერთი საინტერესო მოსაზრება ბავშვთა უფლებების დაცვასთან, საგანმანათლებლო სისტემასთან და მოზარდების სოციალურ აქტივობებთან დაკავშირებით.

შეხვედრაზე მოსწავლეებს წარედგინა იურიდიული დახმარების სამსახურის საბავშვო ვებგვერდი www.children.las.ge.

- **2021 წლის 5 ივნისს**, იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის თანამშრომლებმა სკოლა-პანსიონ "აიბი-მთიებში" ჩაატარეს პრეზენტაცია ბავშვის უფლებებზე. მათ მოსწავლეებს გააცნეს იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები და მიაწოდეს ინფორმაცია არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის ქართულ და საერთაშორისო სტანდარტებზე. პრეზენტაციის დასასრულს გაიმართა დისკუსია.

- **2021 წლის 28 მარტს,** ბათუმის ქალთა კლუბის მიწვევით, ბათუმის იურიდიული დახმარების სამსახურის ბიურო შეხვდა ახალგაზრდებს გამომცემლობაში „წიგნები ბათუმში".

ღონისძიების თემა იყო „ბავშვის უფლებები“, რომელიც მიეძღვნა სოციალურ კამპანიას #ნინისთვის. აღნიშნული კამპანია ე.წ. ქობულეთის ტრაგედიის შემდეგ დაიწყო, როდესაც ძალადობის მსხვერპლმა 14 წლის ნინიმ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. შეხვედრაზე ბათუმის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსმა იამზე ზანდარაძემ ისაუბრა აჭარის რეგიონში ბავშვთა და ქალთა უფლებების მიმართულებით არსებულ გამოწვევებსა და სამართლებრივ პრაქტიკაზე. ღონისძიებას ესწრებოდნენ: ასოციაცია "ქალები რეგიონების განვითარებისთვის“- პრეზიდენტი, ბათუმის ქალთა კლუბის დამფუძნებლები, წევრები, სკოლის მოსწავლეები და მოქალაქეები.

### *6.3. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16 დღიანი კამპანია*

**2021 წლის 9 დეკემბერს,** ბათუმის იურიდიული დახმარების ბიურომ განახორციელა გასვლითი შეხვედრა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში არსებულ ე.წ. „ქალთა ოთახის“ ბენეფიციარებთან.

შეხვედრაზე გაიმართა დისკუსია და მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ საზოგადოების თითოეულ წევს აქვს ვალდებულება წვლილი უნდა შეიტანოს გენდერული ძალადობის აღკვეთაში. შეხვედრაზე გაცემულ იქნა ინდივიდუალური სამართლებრივი კონსულტაციებიც.

### *6.4. შეხვედრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან*

**2021 წლის მარტსა და აპრილში** ჩატარდა 3 შეხვედრა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან ბათუმში, ქუთაისსა და თბილისში.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ რეგიონებში მოქმედი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მონაწილეებს წარედგინათ იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები და ინფორმაცია სამსახურის მანდატის გაზრდასთან დაკავშირებით.

**2021 წლის 26 მარტს,** თბილისში, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის თბილისის ოფისის მხარდაჭერით, გაიმართა შეხვედრა სადაც წარდგენილ იქნა იურიდიული დახმარების სამსახურის სამოქმედო გეგმა - „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვასთან“ დაკავშირებით. გეგმა მომზადდა იმ საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, რომლებიც საქართველოს პარლამენტმა 2020 წელს მიიღო.

### *6.5. სამთავრობო გეგმებიდან გამომდინარე ვალდებულებები*

"ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოების შესახებ" გაეროს რეზოლუციის შესაბამისად კონფლიქტისპირა ზონის მოსახლეობისათვის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით 2021 წელს ჩატარდა 4 შეხვედრა. კერძოდ:

- **2021 წლის 7 აპრილს,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტში კონფლიქტისპირა ზონის მიმდებარე სოფელ ეწერფელდში, გაიმართა საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან. ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურომ მოსახლეობას მიაწოდა ინფორმაცია უფასო სამართლებრივი დახმარების მიღების შესაძლებლობებზე და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

- **2021 წლის 18 ივნისს,** გაიმართა შეხვედრა კასპის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის სოფელ ხვითის მოსახლეობასთან უფასო იურიდიული დახმარების, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისა და სახელმწიფო სერვისების საკითხებზე. საინფორმაციო საკონსულტაციო შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის, მსხვერპლთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლები.

- **2021 წლის 22 ნოემბერს,** ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბში ჩატარდა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან. გორის იურიდიული დახმარების ბიურომ მოქალაქეებს მიაწოდა ინფორმაცია იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისებზე და მანდატზე. ყურადღება გამახვილდა ასევე ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, სოციალური დახმარებების მიღების საკითხებზე და საბანკო ურთიერთობებზე.

- **2021 წლის 30 ივლისს**, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით შედგა შეხვედრა მოსახლეობასთან. მოქალაქეებმა მიიღეს ინფორმაცია იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისებზე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისა და სოციალურ საკითხებზე.

### *6.6. შეხვედრები შრომის სამართლის საკითხებთან დაკავშირებით*

- **2021 წლის 15 მაისს,** ფშავში, ხომის ტურისტულ კომპლექსში, ჩეხეთის რესპუბლიკის არასამთავრობო ორგანიზაციის - "ფიფლ ინ ნიდ"-ის პროექტის (PIN) - „შრომის უფლებების ადვოკატირება საქართველოში“ ფარგლებში, შრომით უფლებებთან დაკავშირებით გაიმართა იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენელთა საინფორმაციო შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან.

შეხვედრის პარტნიორები იყვნენ პროექტის “არაგვის თემთა მდგრადი განვითარების“ წარმომადგენლები. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა

მოსახლეობას გააცნო უფასო სამართლებრივი დახმარების მიღების კრიტერიუმები და მიაწოდა ინფორმაცია შრომით სამართლებრივ საკითხებზე.

მოსახლეობას სამსახურის წარმომადგენლებმა გაუწიეს ინდივიდუალური სამართლებრივი კონსულტაციები.

- **2021 წლის 22 მაისს,** წყალტუბოში გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან. ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა შეხვედრაზე წარადგინეს პრეზენტაცია საქართველოს შრომის კოდექსში შესული ცვლილებებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესახებ.

## *6.7. სხვა შეხვედრები*

**2021 წლის 17 სექტემბერს,** ჩატარდა შეხვედრა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს წარმომადგენლებთან და მესტიის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების რწმუნებულებთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა სხვადასხვა სამართლებრივი საკითხები. კერძოდ, უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემა, სოციალური პროგრამები, მიწის რეგისტრაციის საკითხები, ბავშვთა კოდექსი და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. დისკუსიის რეჟიმში შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს პასუხები მათთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზეც.

# IV. მოძრაობა - "ვაქციოთ კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომი"

## *1. დეკლარაცია*

**2021 წლის 11 ივნისს,** სასტუმრო თბილისი-მერიოტში, ხელი მოეწერა დეკლარაციას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მოძრაობას **„ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი“**.

დეკლარაციას ხელი მოაწერეს:

- საქართველოს სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ,
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ დავით ასათიანმა,
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ თორნიკე ჭეიშვილმა,
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს უფროსმა თეა ახვლედიანმა,
- რეგიონული მმართველობის დეპარტამენტის წარმომადგენელმა თეიმურაზ შეყლაშვილმა,
- საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა.
- საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორმა ლონდა თოლორაიამ.

შეხვედრის ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა, რაჟდენ კუპრაშვილმა, პარტნიორი უწყებების წარმომადგენლებს გააცნო ის მთავარი საფუძვლები, რომლებმაც გამოიწვია პროექტის „ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი“ საჭიროება. სამსახურის დირექტორის პირველმა მოადგილემ ნინო მელაძემ პრეზენტაციის ფარგლებში წარადგინა ის აქტივობები, რომელთა განხორციელებასაც სამსახური დეკლარაციაზე ხელმომწერი უწყებებისა და დონორთა მხარდაჭერით გეგმავს.

დეკლარაციაზე ხელმომწერმა ყველა ორგანიზაციის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა მოძრაობის დროულობას, აქტუალურობას და გამოთქვა მზადყოფნა, საინფორმაციო კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად.

მოძრაობას მხარი დაუჭირა ევრო საბჭომ (COE) და “კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში” USAID/PROLoG -მა.



მოძრაობა - „ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი“

# დეკლარაცია

„ერთადერთი სტაბილური მდგომარეობა არის ის, სადაც ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე.“

არისტოტელე

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი:

**ვაღიარებთ,** ყველა ადამიანის თანდაყოლილ ღირსებასა და თანასწორობას;

**ვაღიარებთ,** ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მნიშვნელობას საყოველთაო თავისუფლების, თანასწორობის, სამართლიანობისა და მშვიდობის მისაღწევად;

**ვაღიარებთ,** თითოეული ინდივიდის მონაწილეობის მნიშვნელობას ქვეყნის საზოგადოებრივ, სოციალურ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში;

**გამოვხატავთ ერთგულებას,** კანონის უზენაესობისა და კარგი მმართველობის პრინციპების მიმართ;

**ვუჭერთ მხარს,** მართლმსაჯულების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა ადამიანისათვის;

**ვადასტურებთ,** სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობას კანონის უზენაესობის განმტკიცებისათვის;

**ვეხმიანებით რა,** საქართველოს მოქალაქეთა ურყევ ნებას, დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო;

**ვინაიდან, ჩვენი მაღალი მისწრაფებაა, წვლილი შევიტანოთ**

- კანონის უზენაესობის გამტკიცებაში,
- სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში,
- სამართლებრივი უსაფრთხოების დამკვიდრებაში,
- ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ინსტიტუციონალური განვითარების პროცესში,

**ვადასტურებთ,** მოძრაობის - „ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი“ ინიცირებასა და განხორციელებაში თანამშრომლობას;

**„ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი“**
მოძრაობა უზრუნველყოფს საქართველოში მცხოვრებ პირთა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე, უფლებების დაცვის საშუალებებზე, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე და აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე მთელი საქართველოს მასშტაბით გასვლითი საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრებითა და ღონისძიებებით.

11 ივნისი, 2021 წელი

USAID
EAST-WEST MANAGEMENT INSTITUTE
იურიდიული დახმარების სამსახური
COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

იურიდიული დახმარების სამსახური პროექტს ახორციელებს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის (EWMI) კანონის უზენაესობის პროექტის (PROLoG) და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით

## 2. მოძრაობის აქტივობები

2021 წელს, სამსახურმა მოძრაობის პრაქტიკული რეალიზაცია დაიწყო 3 მიმართულებით. კერძოდ,

- გასვლითი საინფორმაციო-საკონსულტაციო ღონისძიებები;
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იმიტირებული პროცესები და

- არასრულწლოვანთა მიმართულებით, საინფორმაციო კამპანია „იცოდე შენი უფლება 18 წლამდე“.

## 2.1. I მიმართულება - გასვლითი საინფორმაციო-საკონსულტაციო ღონისძიებები

2021 წელს, მოძრაობის ფარგლებში სამსახურის მიერ განხორციელდა გასვლითი საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა.

შეხვედრების მიმდინარეობისას მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია შემდეგ სამართლებრივ საკითხებზე:

- უფასო სამართლებრივი დახმარების მიღების კრიტერიუმები და პირობები,
- იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები,
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხები,
- დამცავი და შემაკავებელი ორდერები,
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესის თავისებურებები,
- ბავშვის უფლებები,
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები,
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები,
- სერვისები ეთნიკური უმცირესობებისთვის,
- დევნილთა უფლებები,
- ნარკოდანაშაული,
- შრომითი უფლებები,
- დისკრიმინაცია.

## 2.2. II მიმართულება - ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იმიტირებული პროცესები

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იმიტირებული პროცესების ჩატარების მიზანს წარმოადგენდა საზოგადოებაში ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის ცნობადობის გაზრდა, მართლმსაჯულების ინსტიტუტებისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლება, ადგილობრივი მოსახლეობის მომზადება რეალური სასამართლო პროცესებისათვის.

იმიტირებული პროცესები თავის მხრივ, საზოგადოებრივ ადვოკატებს აძლევს დამატებით გამოცდილებას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პროცესებზე მონაწილეობისათვის საჭირო უნარების განვითარებისა და დახვეწისათვის.
ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იმიტირებული პროცესები საქართველოს მასშტაბით ჩატარდა 8 მუნიციპალიტეტში. კერძოდ:

- ცაგერში,
- გორში,

- ახალციხეში,
- მესტიაში,
- თელავში,
- ქუთაისში,
- ბათუმსა და
- ქედაში;

იმიტირებულ პროცესებში ნაფიცი მსაჯულების სახით მონაწილეობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები, ხოლო მოსამართლის, მხარეების, ადვოკატების, მოწმეების, პროკურორისა და პროცესის სხვა მონაწილეთა როლს ითავსებდნენ სამსახურის ადვოკატები და ადმინისტრაციის თანამშრომლები.

**2021 წლის 29 ივნისს**, ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა ცაგერის რაიონულ სასამართლოში. ღონისძიებას დაესწრო 22 ადამიანი.

**2021 წლის 16 ივლისს**, ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა გორის რაიონულ სასამართლოში. ღონისძიებას დაესწრო 28 ადამიანი.

**2021 წლის 24 ივლისს**, ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. ღონისძიებას დაესწრო 46 ადამიანი.

**2021 წლის 11 სექტემბერს**, ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა ახალციხის რაიონულ სასამართლოში. ღონისძიებას დაესწრო 30 ადამიანი. იმიტირებულ პროცესში მონაწილე პირთა ტესტირება კოვიდ-19-ის ანტიგენის სწრაფი ტესტით უზრუნველყოფილ იყო პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში" USAID/PROLoG - ის მიერ.

**2021 წლის 16 სექტემბერს**, ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა მესტიის რაიონულ სასამართლოში. ღონისძიებას დაესწრო 19 ადამიანი. პროცესი ჩატარდა ევრო საბჭოს (COE) მხარდაჭერით. პროცესს ესწრებოდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის ფსიქოლოგებიც;

**2021 წლის 26 სექტემბერს**, ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა თელავის რაიონულ სასამართლოში. ღონისძიებას დაესწრო 26 ადამიანი. იმიტირებულ პროცესში მონაწილე პირთა ტესტირება კოვიდ-19-ის ანტიგენის სწრაფი ტესტით უზრუნველყოფილ იყო პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში" USAID/PROLoG - ის მიერ.

**2021 წლის 5 ოქტომბერს**, ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა ბათუმის საქალაქო სასამართლოში. ღონისძიებას დაესწრო 19 ადამიანი. პროცესი ჩატარდა

ევრო საბჭოს (COE) მხარდაჭერით. პროცესს ესწრებოდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის ფსიქოლოგებიც;

**2021 წლის 6 ოქტომბერს**, ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა ქედის რაიონულ სასამართლოში. ღონისძიებას დაესწრო 16 ადამიანი. პროცესი ჩატარდა ევრო საბჭოს (COE) მხარდაჭერით. პროცესს ესწრებოდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის ფსიქოლოგებიც;

მოძრაობის შედეგების იდენტიფიცირებისათვის, იმიტირებული პროცესები სამსახურის მიერ შეფასდა თვისობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორებით.

რაოდენობრივი ინდიკატორები მოიცავდა შემდეგ, მონაცემებს:

- მონაწილეთა საერთო რაოდენობა - 192,
- გენდერული თანაფარდობა - 55 ქალი და 29 კაცი,
- მსაჯულ ქალთა რაოდენობა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში - 18,
- დამსწრე/მონაწილე არასრულწლოვანთა რაოდენობა - 0,
- დამსწრე სტუდენტთა რაოდენობა - 39,
- მსაჯულთა რაოდენობა, რომლებიც გავლენას ახდენენ სხვა მსაჯულებზე - 14,
- მსაჯულთა რაოდენობა, რომლებიც ექცეოდნენ სხვა მსაჯულების ზეგავლენის ქვეშ - 50.

თვისობრივი ინდიკატორები მოიცავდა შემდეგ მონაცემებს:

- მსაჯულთა სენსიტიურობა გენდერული საკითხების მიმართ - არ იკვეთება,
- მსაჯულთა სენსიტიურობა განსხვავებული ეთნიკური ან/და რასობრივი ჯგუფების მიმართ - არ იკვეთება,
- მსაჯულთა მიერ ადამიანის უფლებების ზოგადი ცოდნა - საშუალოდ 2 ქულა (მაქსიმუმი 4 ქულა),
- მსაჯულთა მიერ საპროცესო უფლებების ზოგადი ცოდნა - საშუალოდ 4 ქულა (მაქსიმუმი 4 ქულა),
- მსაჯულთა გუნდური მუშაობის უნარი - საშუალოდ 2 ქულა (მაქსიმუმი 4 ქულა).

შედეგების შედარების, მათი გაზომვისა და სწორად გაანალიზებისათვის რამდენიმე რეგიონში ნაფიცი მსაჯულებისათვის წარდგენილ იქნა ერთი და იგივე ე.წ. „მკვლელობის“ საქმე. სასურველი სურათის დანახვისათვის, ერთ შემთხვევაში ნაფიცი მსაჯულები შეირჩნენ მხოლოდ ერთი სქესის წარმომადგენლებისაგან (ქალები/მამაკაცები), მეორე შემთხვევაში კი დაცული იყო გენდერული ბალანსი.

იმიტირებული პროცესების შედეგების შეჯამებისას, რეგიონისა და გენდერული ელემენტების გათვალისწინებით გამოიკვეთა საინტერესო ტენდენციები. კერძოდ,

• ნაფიცი მსაჯულების შემადგენლობამ, რომელიც მხოლოდ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული გამოიტანა გამამართლებელი ვერდიქტი;

• გენდერული ბალანსის დაცვით დაკომპლექტებულმა ნაფიცმა მსაჯულებმა გამოიტანა გამამტყუნებელი ვერდიქტი;

• ხოლო მამაკაცებით დაკომპლექტებულმა ნაფიცი მსაჯულების შემადგენლობამ გამოიტანა გამამტყუნებელი ვერდიქტი.

რეგიონების მიხედვით ვერდიქტის სიმკაცრე ასე გამოიყურებოდა:

- გორი- გამამართლებელი;
- ახალციხე- გამამართლებელი;
- თელავი- გამამართლებელი;
- ქედა- გამამართლებელი;
- ცაგერი- გამამართლებელი.

- მესტია- გამამტყუნებელი;
- ბათუმი- გამამტყუნებელი;
- ქუთაისი- გამამტყუნებელი;

## 2.3. III მიმართულება - საინფორმაციო კამპანია „იცოდე შენი უფლება 18 წლამდე“

არასრულწლოვანთა სამართლებრივი ცნობიერების გაზრდის მიზნით, თბილისისა და რეგიონების სკოლებში 200-მდე მოსწავლესთან განახორციელა საინფორმაციო შეხვედრები, რა დროსაც სკოლის მოსწავლეებს მიეწოდათ ინფრომაცია შემდეგ თემებზე:

- ბავშვის უფლებები,
- ბულინგი,
- დისკრიმინაცია,
- ტოლერანტობა,
- გენდერული თანასწორობა,
- ოჯახში ძალადობა,
- შრომითი უფლებები,
- განრიდება და მედიაცია.

შეხვედრები ჩატარდა:

- თბილისის მე-200 სკოლაში;
- მესტიის მე-2 საშუალო სკოლაში;
- ქუთაისის რამდენიმე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან, რომლებიც გაერთიანებული არიან „ ააიპ "ინფორმაციული დეველოპერული ჰაბში" და ასრულებენ სხვადასხვა ინტელექტუალურ დავალებებს;
- თბილისის სკოლა-პანსიონი "აიბი მთიებში"

სამსახურის მიერ მომზადდა ვიდეო რგოლები, სადაც სამსახურის ადვოკატები ბავშვისათვის გასაგებ ენაზე საუბრობენ ბავშვის უფლებებზე. ვიდეო რგოლებში მიმოხილულია ბავშვის შემდეგი უფლებები:

- თამაშისა და დასვენების უფლება - https://youtu.be/RRbw7SEfi14 ;
- ძალადობისგან დაცვის უფლება - https://youtu.be/HFaBcJIcvcs ;
- მშობელთან ცხოვრების უფლება https://youtu.be/HFaBcJIcvcs ;
- განათლების უფლება - https://youtu.be/HFaBcJIcvcs;
- საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება - https://youtu.be/HFaBcJIcvcs

სამსახურის მიერ ბავშვის უფლებებზე მომზადდა ასევე საბავშვო ანიმაციური კომიქსი, რომელიც სპეციალურად შექმნილი ნახატების საშუალებით ბავშვებს განუმარტავს თავიანთ უფლებებს - https://children.las.ge/ka/comix/19/gavigot-bavshvis-uflebebi-3-tsutshi. კომიქსის ესკიზები მომზადდა შვეიცარიელი მხატვარის დევიდ ლავინეს და სპონსორს ჰეინერ დიერინგის მხარდაჭრით.

გარდა ამისა, ბავშვთა უფლებების დაცვის დღეს - 1 ივნისს, სამსახურმა მოამზადა ვიდეორგოლი, სადაც ბავშვები თვითონ ყვებიან თავიანთ უფლებებზე:
https://youtu.be/96eyWhNmlrg

მოძრაობის ფარგლებში ღონისძიებების ნაწილი განხორციელდა ევროსაბჭოსა (COE) და პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) ფინანსური მხარდაჭერით.

# V. რადიო გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“

## „სამართლებრივი რჩევები“

**2021 წელს,** რადიო იმედის ეთერში გავიდა **„სამართლებრივი რჩევების“ 41** გადაცემა.

**2021 წელს,** სოციალურ ქსელში (facebook) რადიო გადაცემის ნახვების რაოდენობამ შეადგინა 342 986-ს. „სამართლებრივი რჩევების“ შედეგად, იურიდიული დახმარების სამსახურის გვერდს დაემატა - 1145 მოწონება.

- **2021 წლის 25 იანვარი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი- იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ნიკოლაიშვილი. თემა - „საქართველოს სახელმწიფოს და ქართველი იურისტების ისტორიული გამარჯვება, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოში საქართველომ რუსეთის წინააღმდეგ მოიპოვა“
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/424486405556490
49 271 - ნახვა

- **2021 წლის 1 თებერვალი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე - ნიკოლოზ სიმონიშვილი, თემა - “სამართალწარმოების პროცესში პანდემიის დროს წარმოშობილი გამოწვევები და უფლებადამცველი ორგანიზაციების კოორდინირებული მუშაობის საკითხები”.
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/760796478202298
35 157 - ნახვა

- **2021 წლის 8 თებერვალი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატები: მაია დადვანი და თამარ კუპატაძე. თემა: „შვილად აყვანა“
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/3854225974597521
35 562 - ნახვა

- **2021 წლის 15 თებერვალი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილე სულხან გველესიანი, თემა: „სადაზღვევო სისტემა კოვიდის დროს“
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/4088250374541568
26 997 - ნახვა

- **2021 წლის 23 თებერვალი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - ადვოკატი - მარიამ კუბლაშვილი. თემა: „კიბერბულინგი“
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/2099823643493244
46 919 - ნახვა

- **2021 წლის 1 მარტი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - იურიდიული დახმარების სამსახურის ანალიტიკური სამმართველოს უფროსი დავით სიმონია. თემა: „კიბერდანაშაული“
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/152569840037329
26 668 - ნახვა

- **2021 წლის 15 მარტი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - ადვოკატი - დიმიტრი ტორაძე. თემა: „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება“
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/890068768461271
35 968 - ნახვა

- **2021 წლის 22 მარტი** - წამყვანი - სულხან გველესიანი, სტუმარი - უფლებადამცველი ბაია პატარაია. თემა: „სექსუალური ძალადობა“
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/2658676287756268
26 981 - ნახვა

- **2021 წლის 29 მარტი** - წამყვანი - სულხან გველესიანი, სტუმარი - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის იურიდიული კონსულტანტი ნინო გოგლიძე. თემა: „ფიზიკური და იურიდიული პირების გაკოტრება“

- **2021 წლის 5 აპრილი** - წამყვანი - სულხან გველესიანი, სტუმარი - სტრატეგიული პროექტების მენეჯერი, იურისტი იოსებ გუდიაშვილი. თემა: „კომპანიების სტრატეგიული პროექტების სამართლებრივი ასპექტები“
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/240276617844709
25 408 ნახვა

- **2021 წლის 12 აპრილი -** წამყვანი - სულხან გველესიანი, სტუმარი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისიის პროგრამების კოორდინატორი ნათია კვიციანი. თემა: „მიგრაცია-პრობლემები, მიღწევები“
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/752269392152141
23 757 ნახვა

- **2021 წლის 19 აპრილი -** წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს უფროსი მაკა ფერაძე. თემა: „ოჯახში ძალადობა“
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/501282387571023
38 872 ნახვა

- **2021 წლის 26 აპრილი -** წამყვანი - სულხან გველესიანი, სტუმარი - იურიდიული დახმარების სამსახურის ანალიტიკური სამმართველოს უფროსი დავით სიმონია. თემა: „ცვლილებები შრომის კოდექსში“

https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/461808078437514
26 071 ნახვა

- **2021 წლის 10 მაისი -** წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი. თემა: „მედიაცია- დავის გადაწყვეტილს უალტერნატივო მექანიზმი“
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/474298673840416
40 207 ნახვა

- **2021 წლის 17 მაისი -** წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ევროპის ადვოკატთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი დავით ასათიანი. თემა: „ევროპის ადვოკატთა ასოციაციის მომავალი საქმიანობა“
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/1380255892349693
35 165 ნახვა

- **2021 წლის 24 მაისი -** წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ხელმძღვანელი ლონდა ასათიანი. თემა: „რას ნიშნავს პერსონალური ინფორმაცია“
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/812541206324575
21 985 - ნახვა

- **2021 წლის 31 მაისი -** წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: ლევან გოგიძე. თემა: „სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური და ჯანმრთელობის პროგრამები“.
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/1101783213645534
34 153 ნახვა

- **2021 წლის 7 ივნისი -** წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი გოგიტა თოდრაძე. თემა: „სტატისტიკის მნიშვნელობა სხვადასხვა დარგების განვითარებაში“.
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/972419856634796
19 245 ნახვა

- **2021 წლის 14 ივნისი -** წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - იურიდიული დახმარების სამსახურის პირველი მოადგილე ნინო მელაძე და მოადგილე ირაკლი შონია. თემა: „ვაქციოთ კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომი“.
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/336004024572167
23 826 ნახვა

- **2021 წლის 21 ივნისი -** წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატები - ესმა ნორაკია და ოთარ რუხაძე, ქუთაისის ბიუროს უფროსი - გელა სიორდია. თემა: „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საკითხები“.
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/529020931466413
23 856 ნახვა

- **2021 წლის 28 ივნისი -** წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილე სულხან გველესიანი და იურისტი გიორგი ცატავა. თემა: „სასაქონლო ნიშანი და კონტრაფაქცია“.
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/2934195870199305
21 112 ნახვა

- **2021 წლის 5 ივლისი -** წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - ადვოკატი- ტარიელ კაკაბაძე და მცხეთის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი ალუდა ბუჩუკური. თემა: „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“.
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/171113538396321
14 436 ნახვა

- **2021 წლის 12 ივლისი -** წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტი თათია სოსელია და ფსიქოლოგი თამარ სიმონია. თემა: „ფსიქოლოგების ჩართულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში“.
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/196187775776510
11 378 ნახვა

- **2021 წლის 19 ივლისი -** წამყვანი - სულხან გველესიანი, სტუმარი - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ნინო ვალიკოვი. თემა: „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები“
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/1232361367201964
22 616 ნახვა

- **2021 წლის 26 ივლისი -** წამყვანი - სულხან გველესიანი, სტუმარი - შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალის გამომცემელი, ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი. თემა: „შედარებითი სამართლის მნიშვნელობა და სამართლის ტექნოლოგიები“.
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/989703208527943
16 408 ნახვა

- **2021 წლის13 სექტემბერი -** წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი სტუმარი - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე

დავით ნარმანია. თემა: „სემეკისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ურთიერთთანამშრომლობა ენერგომომხმარებლთა უფლებების დაცვის საკითხებში“.
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/536482644107194
56 432 ნახვა

- **2021 წლის 20 სექტემბერი -** წამყვანი - სულხან გველესიანი, სტუმარი - სოციალური სამართლიანობის ცენტრის მკვლევარები/იურისტები: თორნიკე გერლიანი და ანა პაპუაშვილი. თემა: „სოციალური სამართლიანობის კვლევა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა საქართველოში“
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/672481907045941
15 294 ნახვა

- **2021 წლის 27 სექტემბერი -** წამყვანი - სულხან გველესიანი, სტუმარი - ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი: გელა სიორდია. თემა: „ბავშვის უფლებათა კოდექსი პრაქტიკაში“.
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/618212285850988
**11 159 ნახვა**

- 2021 წლის 4 ოქტომბერი - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - პროფესორი, სამართლის ინჟინერი: ზვიად გაბისონია, თემა: „ხელოვნური ინტელექტი იურიდიული მომსახურების სფეროში“.
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/1215579298947765
22 357 ნახვა

- **2021 წლის 11 ოქტომბერი -** წამყვანი - სულხან გველესიანი, სტუმარი - ადვოკატი : გოჩა ოყრეშიძე, თემა: „სახელშეკრულებო სამართალი“.
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/927791687822335
11 177 ნახვა

- **2021 წლის 18 ოქტომბერი** - წამყვანი - სულხან გველესიანი, სტუმარი - ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალის გამომცემელი: სულხან გამყრელიძე. თემა: „ქორწინება და საერთაშორისო კერძო სამართალი“.
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/1120597038339933
12 959 ნახვა

- **2021 წლის 25 ოქტომბერი -** წამყვანი - სულხან გველესიანი, სტუმარი - სამართლის დოქტორი, ჟან მონეს პროფესორი, ასოციაციის - ,,ევროპის დროით" თავმჯდომარე: ეკა ქარდავა. თემა: „ასოცირების ხელშეკრულება“.
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/1043048966511670
10 328 ნახვა

- **2021 წლის 1 ნოემბერი** - წამყვანი - სულხან გველესიანი, სტუმარი - **გერმანულ-ქართული შედარებითი სამართლის ჟურნალის გამომცემელი -** დავით მაისურაძე. თემა: „რელიგიური გაერთიანებები და სახელმწიფო“.
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/731595754441102
12 768 ნახვა

- **2021 წლის 8 ნოემბერი** - წამყვანი - სულხან გველესიანი, სტუმარი - სამართლის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი ლევან გოთუა. თემა: „ფინანსური ლიზინგი“.
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/428787568629044
10 105 ნახვა

- **2021 წლის 15 ნოემბერი** - წამყვანი - სულხან გველესიანი, სტუმარი - ადვოკატი: ზვიად ბატიაშვილი. თემა: „გადახდილი ანაზღაურების უკან წაღების პირობის დასაშვებობა“.
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/324633692662709
11 320 ნახვა

- **2021 წლის 22 ნოემბერი** - წამყვანი - სულხან გველესიანი, სტუმარი - ადვოკატი: ლევან ნანობაშვილი. თემა: „ნაწარმოების სათაურის სამართლებრივი დაცვა“.
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/430746958646532
11 763 ნახვა

- **2021 წლის 29 ნოემბერი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სულხან გველესიანი, სტუმარი - ამერიკული ჰოსპიტლის დირექტორი ირაკლი გოგოხია და უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ეკატერინე გასიტაშვილი. თემა: „სამედიცინო სამართალი“.
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/327343935503123
14 256 ნახვა

- **2021 წლის 6 დეკემბერი** - წამყვანი - სულხან გველესიანი, სტუმარი - იურიდიული კომპანია BLC -ის საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკის ხელმძღვანელი: რუსუდან ჭკუასელი. თემა: „საერთაშორისო საარბიტრაჟო დავები“ .
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/931924134128267
15 046 ნახვა

- **2021 წლის 13 დეკემბერი** - წამყვანი - სულხან გველესიანი, რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი: ადვოკატი: როინ მიგრიაული. თემა: „სამეწარმეო საზოგადოების დასრულების გარემოებები“.
https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/220712763579337
15 161 ნახვა

- **2021 წლის 20 დეკემბერი -** წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი: საერთაშორისო მიგრაციის და განვითარების ცენტრის ექსპერტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი - ლია შატბერაშვილი. თემა: „მოსამართლეთა კორპუსის რეფორმირება სისტემის გარდაქმნის შედეგად: ევროპის გამოცდილება".

https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/1290691141414546

10 422 ნახვა

- **2021 წლის 27 დეკემბერი -** წამყვანი - სულხან გველესიანი, სტუმარი: ასოცირებული პროფესორი, იურისტი - სერგი ჯორბენაძე. თემა: „რეკლამის სამართლებრივი მოწესრიგება საქართველოში"

https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/267259022135974

9 291 ნახვა

# VI. ჟურნალი "საზოგადოებრივი ადვოკატი"

## „საზოგადოებრივი ადვოკატი“

2021 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „საზოგადოებრივი ადვოკატის“ მეორე ნომერი, შემდეგი სარედაქციო კოლეგიით: სარედაქციო საბჭოს ხელმძღვანელი რაჟდენ კუპრაშვილი, რედაქტორი ბიძინა მაყაშვილი, რედაქტორის მოადგილე ნინო ჩუტკერაშვილი, კომპიუტერული უზრუნველყოფა: გოგა დავთიანი.

ჟურნალი მოიცავს შემდეგი სახის პუბლიკაციებს:

- რედაქტორის სვეტი - ავტორი რაჟდენ კუპრაშვილი, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი;
- "ვაქციოთ კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომი", დეკლარაცია - ავტორი ზაზა ჯღარკავა, ჟურნალისტი;
- მომავალი არის დღეს (ხელოვნური ინტელექტის გამოყენება) - ავტორი ნინო ჩუტკერაშვილი, იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი;
- სოციალური პოლიტიკა ევროპაში (შედარებითი ანალიზი) - ავტორი სულხან გველესიანი, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილე;
- ასოცირების ხელშეკრულება - გზა ევროკავშირისკენ - ავტორი დავით სიმონია, იურიდიული დახმარების სამსახურის ანალიტიკური სამმართველოს უფროსი;
- მტკიცების ტვირთი მცდარი სამედიცინო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას - ავტორი ნინო მელაძე, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის პირველი მოადგილე;
- საერთაშორისო დაცვა საქართველოში - ავტორი თეა ყაულაშვილი, თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი;
- შრომის უსაფრთხოება და უფლებები - ავტორი ნათია ბერძენიშვილი, მცხეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი;
- პირობითი მსჯავრის მიზნები - ავტორი მაგდა შინჯიკაშვილი, თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი;
- ოკუპაციას გადარჩენილი განძი - ავტორი ზაზა ჯღარკავა, ჟურნალისტი;
- ხამურაბის კანონები და თანამედროვე სამართალი- ავტორი ირინა ბარბაქაძე, მცხეთის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტი;

წერილიც & სიხარულიც - ბენეფიციართა მადლობის წერილები - მოამზადა ჟურნალის რედაქტორმა ბიძინა მაყაშვილმა

- ფოტოამბები - ფოტოკოლაჟი მომზადებულია ფოტოგრაფების ალექსანდრე სხულუხიას, თორნიკე ტურაბელიძის და იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერ მარიამ ბერიძის მიერ გადაღებული ფოტოების მიხედვით.
- იუმორი - მოამზადა თარჯიმანმა ლეილა ბერიშვილმა.

ჟურნალში ასევე მოცემულია ინფორმაცია იურიდიული დახმარების სამსახურის ახალი ლოგოს შესახებ და რეგიონული ოფისების კონტაქტები.

# VII. სამსახურის მიერ გაწეული მომსახურეობის ხარისხის უზრუნველყოფა

## 1. სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შეფასება

იურიდიული დახმარების საბჭოს 2020 წლის 4 ივლისის N75 გადაწყვეტილებით დამტკიცდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები.

იურიდიული დახმარების საბჭოს N75-ე გადაწყვეტილების თანახმად, დადგინდა ადვოკატებისა და კონსულტანტების იმ საქმეების შეფასების ვალდებულება, რომლებიც ადვოკატის, კონსულტანტის მიერ წარმოებაში მიღებულ იქნა წინამდებარე გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ. ამავე გადაწყვეტილების დანართის შესაბამისად, შეფასებას დაექვემდებარა ადვოკატის, კონსულტანტის დასრულებული საქმეები.

2021 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების საფუძველზე შეფასდა 222 საქმე. მათ შორის:

- სისხლის სამართლის მიმართულებით დასაქმებული ადვოკატების ნაწარმოები - 176 საქმე;
- სამოქალაქო სამართლის მიმართულებით დასაქმებული ადვოკატების ნაწარმოები - 27 საქმე;
- ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით დასაქმებული ადვოკატების ნაწარმოები - 19 საქმე;

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველოს მიერ შეფასდა 22 ადვოკატის საქმე. სამმართველოს მიერ შეფასების დაწყების მომენტისთვის სამსახურში სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით დასაქმებული იყო 37 საზოგადოებრივი ადვოკატი.

სისხლის სამართლის მიმართულებით, სისხლის სამართლის საქმეებზე იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველოს მიერ შეფასდა 61 ადვოკატის საქმე. სამმართველოს მიერ ხარისხის შეფასების დაწყების მომენტისთვის სამსახურში სისხლის სამართლის მიმართულებით დასაქმებული იყო 103 საზოგადოებრივი ადვოკატი.

ხარისხის შეფასების სამმართველოების მიერ ადვოკატების მიერ გაწეული მომსახურეობის ხარისხის შეფასება/უზრუნველყოფა განხორციელდა შემდეგი საშუალებებით:

1. ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარი;
2. იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის (Case-bank) ჩანაწერები;
3. ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევა;

4. მხარდამჭერთა ჯგუფი;
5. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი;

გლობალური პანდემიიდან (covid-19) გამომდინარე, ხარისხის შეფასების სამმართველოს თანამშრომლების მიერ სასამართლო პროცესზე დასწრება ვერ განხორციელდა. შესაბამისად, ადვოკატთა საქმეების შეფასებისას აღნიშნული საშუალების გამოყენება არ მომხდარა.

## *1. მხარდამჭერთა ჯგუფის საქმიანობა*

ხარისხის შეფასების სისტემის ფარგლებში, საზოგადოებრივი ადვოკატების მიერ გაიმართა 15 შეხვედრა ადვოკატთა მიმართვების ასევე სხვადასხვა სამართლებრივი საკითხების განხილვის, პრაქტიკული თუ თეორიული პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებისა და საერთო მიდგომების ჩამოყალიბებისათვის. კერძოდ:

**2021 წლის 23 იანვარს** - მტკიცებულებათა ელექტრონულად გაცვლა სისხლის სამართლის პროცესში და საგამოძიებო მოქმედება - სხვა საქმეზე პატიმრობაში მყოფი პირის გამოკითხვა.

**2021 წლის 28 იანვარს** - ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პროცესების აქტუალური საკითხები. მათ შორის, 1. რა შემთხვევაშია მიზანშეწონილი საქმის ნაფიცი მსაჯულებისათვის საქმის გადაცემა; 2. რა უნდა იქნეს გათვალისწინებული ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესში 3. როგორ უნდა მოხდეს კითხვების ფორმირება ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების მიმართ.
**2021 წლის 4 თებერვალს** - სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავების გამიჯვნის პრობლემატიკა და სასამართლო პრაქტიკა.

**2021 წლის 12 თებერვალს** - ამნისტიის კანონი.

**2021 წლის 19 თებერვალს** - არასრულწლოვანთა საქმეების განხილვის პრობლემატიკა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებში.

**2021 წლის 25 თებერვალს** - ადვოკატის მიმართვის საფუძველზე განხილულ იქნა შემდეგი სამართლებრივი საკითხი: არსებობდა თუ არა შესაძლებლობა დასაცავი პირის მიმართ ინკრიმინირებული ორი საქმის გათვალისწინებით საპროცესო შეთანხმების გაფორმების მხოლოდ პირობით მსჯავრზე, ან ზოგადად რა მოლოდინი შეიძლება ჰქონოდა საპროცესო შეთანხმების პირობებთან მიმართებაში ბენეფიციარს.

**2021 წლის 4 მარტს** - თავშესაფრის მაძიებელთა პრობლემური საკითხები.

**2021 წლის 10 მარტს** - ადვოკატის მიმართვის საფუძველზე, შეხვედრაზე განხილულ იქნა არასრულწლოვნის ინტერესების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ ფსიქოლოგის ჩართულობა.

**2021 წლის 18 მარტს** - არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას სამსახურის ადვოკატთა მიდგომები;

**2021 წლის 22 აპრილს - მხარდამჭერთა ჯგუფის შეხვედრაზე** ორგანიზაციამ "პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის" წარადგინა პრეზენტაცია თემაზე "ბავშვთა მართლმსაჯულების უფლების გაძლიერება". შეხვედრაზე განხილულ იქნა ადვოკატის მიდგომების სხვადასხვა მოდელები არასრულწლოვანთა მიმართულებით.

**2021 წლის 25 მაისს** - არასრულწლოვანთა საქმის განხილვასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომები.

შეხვედრას ესწრებოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე ნათია გუჯაბიძე.

**2021 წლის 16 ივნისს** - ბავშვის განცალკევების საკითხი და ამ მხრივ არსებული არაერთგვაროვანი მიდგომები.

**2021 წლის 1 ივლისს** - საქმის პერსპექტივის განსაზღვრის მეთოდები.

**2021 წლის 15 ივლისის** შეხვედრა გაიმართა კონსულტანტის მიმართვის საფუძველზე და ჯგუფის წევრებმა განიხილეს იპოთეკის ხელშეკრულებისა და ქონების აუქციონზე გატანასთან დაკავშირებული საკითხები.

**2021 წლის 3 აგვისტოს** შეხვედრა გაიმართა ადვოკატის მიმართვის საფუძველზე და ჯგუფის წევრებმა განიხილეს მოსამართლისა და არასრულწლოვანის კომუნიკაციის საკითხები და მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები არასრულწლოვანთან კომუნიკაციისას.

**მხარდამჭერთა ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები შემდეგ საკითხებზე:**

- პრივატიზაციით საკუთრების მოპოვება და მემკვიდრეობა;
- საკომლო ქონების რეგისტრაციის, განაწილებისა და მემკვიდრეობის პრობლემური საკითხები;
- ბავშვთა უფლებათა კოდექსის ამოქმედების შემდგომი გამოწვევები;
- მტკიცებულებათა ელექტრონულად გაცვლა სისხლის სამართლის პროცესში; საგამოძიებო მოქმედება - სხვა საქმეზე პატიმრობაში მყოფი პირის გამოკითხვა;
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და აქტუალური საკითხები;
- სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავების გამიჯვნის პრობლემატიკა და პრაქტიკა;
- ამნისტიის კანონი და პრაქტიკა;

- არასრულწლოვანთა პრობლემატიკა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებში;
- თავშესაფრის მაძიებელთა პრობლემური საკითხები;
- არასრულწლოვანთა მიმართებით სამსახურის ადვოკატთა მიდგომები.

## 2. განგრძობადი განათლება

**2021 წელს,** პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) მხარდაჭერით მოწვეული ექსპერტის მიერ შემუშავდა სამსახურის სასწავლო ცენტრის სტრატეგია.

პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) მხარდაჭერით (USAID/PROLOG) 2021 წელს, ექსპერტის მიერ შეიქმნა იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრის 5 წლიანი სტრატეგიის დოკუმენტი (2021-2026).

სასწავლო ცენტრის სტრატეგიული მიზნების შემუშავების პროცესში ექსპერტის მიერ შესწავლილი იქნა სამსახურის დებულება და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია, არსებული გამოცდილება, გამოწვევები, ძლიერი მხარეები და შესაძლებლობები.

სასწავლო ცენტრის ორგანიზაციული განვითარების კუთხით ექსპერტი გაესაუბრა იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს, სასწავლო ცენტრის უფროსს და ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს ხელმძღვანელს.

2021 წლის მარტი-აპრილის პერიოდში, ექსპერტმა ჩაატარა ასევე 4 შეხვედრა იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებთან, პროფესიული განვითარების და სასწავლო ცენტრის ორგანიზაციული განვითარების საკითხებთან დაკავშირებით.

სემინარების დროს განხილული იყო შემდეგი საკითხები:
- სასწავლო ცენტრის ფუნქციები და საქმიანობა;
- სასურველი ტრენინგები და პროგრამები;
- სასწავლო ცენტრის სტრატეგიული მიზნები;
- ხარვეზები და გამოსწორების გზები;
- სწავლების მეთოდები, ონლაინ სწავლების უპირატესობები და გამოწვევები;
- ტრენინგ საჭიროებების დადგენის გზები;
- შიდა ტრენერების გაძლიერება და მოტივაციის შემუშავება;
- სასწავლო პლატფორმის შემუშავების და სასწავლო ცენტრის პოპულარიზაცია.

იურიდიული დახმარების სამსახურის დოკუმენტაციის ანალიზისა და ინტერვიუების/სემინარების საფუძველზე შეიქმნა სასწავლო ცენტრის 2021-2026 წლების სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.

სტრატეგიის დოკუმენტი მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- სასწავლო ცენტრის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სასწავლო ცენტრის მიზნობრივი აუდიტორია;
- სწავლების მეთოდები.

დოკუმენტში 2021-2026 წლის განმავლობაში განისაზღვრა შემდეგი სტრატეგიული მიზნები:

- მიზანი N1 - თანამშრომელთა პროფესიული და პიროვნული/სოციალური უნარების განვითარება, შედეგზე ორიენტირებული და ინოვაციური განგრძობითი განათლების უზრუნველყოფა.
- მიზანი N 2 - ცოდნის გაზიარების პრაქტიკის გაძლიერება.
- მიზანი N 3 - სასწავლო ცენტრის ორგანიზაციული და პროცედურული შესაძლებლობების გაძლიერება.
- მიზანი N 4 - სასწავლო ცენტრის თანამშრომლების განვითარება.
- მიზანი N 5 - ტრენინგის საჭიროების იდენტიფიცირება, ანალიზი და ტრენინგ გეგმის შემუშავება.
- მიზანი N 6 - ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა სასწავლო პროცესში.
- მიზანი N 7 - მოსამზადებელი, საკვალიფიკაციო და სასერტიფიკატო გამოცდების ან/და ტესტების შემუშავება.
- მიზანი N 8 - იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრის პოპულარიზაცია და ბრენდინგი.
- მიზანი N 9 - იურიდიული დახმარების სამსახურის ახალი თანამშრომლის ადაპტაციის და სტაჟირების პროგრამის განვითარება.

**2021 წლის 24-26 ივნისს,** ბათუმში, პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) მხარდაჭერით გაიმართა იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრის სტრატეგიის პრეზენტაცია. შეხვედრას ესწრებოდნენ იურიდიული დახმარების საბჭოს წევრები, სამსახურის ადმინისტრაციის თანამშრომლები და დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლები (15 მონაწილე).

## *3.1. ტრენინგების მიმოხილვა*

**2021 წელს, სამსახურის თანამშრომლებისთვის სამსახურის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა 51 ტრენინგი.**

ტრენინგ-მოდულები შეირჩა ბენეფიციართა მომართვიანობის მაჩვენებლის, ადვოკატთა გამოკითხვის შედეგებისა და დონორი ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული ტრენინგების მიხედვით.

ტრენინგში მონაწილეობა მიიღო იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის თანამშრომლებმა, კონსულტანტებმა, საზოგადოებრივმა და რეესტრის ადვოკატებმა. (გენდერული ბალანსი: 55,67%- ქალი, 44,33%- კაცი).

- **2021 წლის 29 იანვარს,** პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში" (PROLoG) მხარდაჭერით, ჩატარდა დისტანციური ტრენინგი თემაზე - „სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეგულირების მექანიზმი". ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის თანამშრომლები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 14 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი მარიამ გაიპარაშვილი.

- **2021 წლის 18-19 თებერვალს და 22-23 აპრილს** (2 ტრენინგი), პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში" (USAID/PROLoG) მხარდაჭერით, ჩატარდა დისტანციური ტრენინგი თემაზე -,,სამართლებრივი მართლწერა''. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები, ასევე, მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 35 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა ადვოკატი - ლაშა კალანდაძე.

- **2021 წლის 23 თებერვალს და 18 მაისს**, (2 ტრენინგი) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში" (USAID/PROLoG) მხარდაჭერით, ჩატარდა დისტანციური ტრენინგი თემაზე - ,,მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში''. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 48 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა მოსამართლე - ბადრი კოჭლამაზაშვილი.

- **2021 წლის 24-26 თებერვალს,** ევროპის საბჭოს (CoE) მხარდაჭერით, ჩატარდა დისტანციური ტრენინგი თემაზე - „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები''. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები, ასევე, მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 14 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა - ბაია პატარაია.

- **2021 წლის 5 მარტსა და 21 მაისს,** (2 ტრენინგი) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში" (USAID/PROLoG) მხარდაჭერით ჩატარდა დისტანციური ტრენინგი თემაზე -,,ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ძალადაკარგულად გამოცხადება; ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად ცნობის სამართლებრივი შედეგები; კეთილსინდისიერი შემძენის უფლება''. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები, ასევე, მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 45 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე - მაია ვაჩაძე.

- **2021 წლის 22-23 მარტს,** ქ. ბათუმში, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მხარდაჭერით გაიმართა ტრენინგი თემაზე - „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები, საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 16 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - გიორგი ჩხეიძე, თინათინ გოლეთიანი, ანა აბაშიძე და ანა არგანაშვილი.

- **2021 წლის 26 მარტს და 4 ივნისს**, (2 ტრენინგი) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) მხარდაჭერით ჩატარდა დისტანციური ტრენინგი თემაზე - ,,ბავშვის საუკეთესო ინტერესი’’. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები, ასევე, მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 47 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე - ქეთევან მესხიშვილი.

- **2021 წლის 16 აპრილს და 11 ივნისს,** (2 ტრენინგი) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) მხარდაჭერით ჩატარდა დისტანციური ტრენინგი თემაზე - ,,კლიენტთან, მათ შორის არასრულწლოვან კლიენტთან ადვოკატის კომუნიკაცია’’. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები, ასევე, მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 42 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ სამართლის პროფესორი, მედიატორი - სოფიო ჩაჩავა და ფსიქოლოგი - ნინო გოგიჩაძე.

- **2021 წლის 19-20 ივნისს,** ლოპოტაზე, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაცია, მათი უფლებების საერთაშორისო სტანდარტები“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 23 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - გიორგი ჩხეიძე და ეკატერინე თავართქილაძე.

- **2021 წლის 8-9 ივლისს და 12-13 ივლისს** (2 ტრენინგი) გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (UN OHCHR) ორგანიზებით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „წამების აკრძალვა“. ტრენინგი ევროკავშირის (EU) და გაეროს (UN) ერთობლივი პროგრამის „ადამიანის უფლებები ყველასათვის - მეორე ფაზა“ ფარგლებში ჩატარდა. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები, ასევე, აპარატის თანამშრომლები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 38 თანამშრომელი.

ტრენინგს უძღვებოდნენ UN OHCHR-ის ადამიანის უფლებათა ოფიცერი - ბესარიონ ბოხაშვილი და ექსპერტი - გიორგი ჩხეიძე.

- **2021 წლის 17 ივნისსა და 9 ივლისს** გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით ჩატარდა დისტანციური ტრენინგი თემაზე - „ქალთა ან/და ოჯახში ძალადობის საკითხები“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის ადმინისტრაციის თანამშრომლები და ფსიქოლოგები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 5 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა ექიმი ფსიქოთერაპევტი, ფსიქიატრი - სოფიო ტაბაღუა.

- **2021 წლის 10-11 ივლისს,** ქ. თბილისში „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „განახლებული იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემა Case Bank-ის გამოყენებაში“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროს უფროსები და სპეციალისტები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 28 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა - მარიამ ზანგალაძე.

- **2021 წლის 20 ივლისს,** ქ. ქუთაისში, პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR) მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლება“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 6 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი - თამარ გაბოძე.

- **2021 წლის 26-27 ივლისს და 29-30 სექტემბერს,** (2 ტრენინგი) კახეთში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის საკითხების სამართლებრივი რეგულირება და ლგბტქი ადამიანების საჭიროებები“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და აპარატის თანამშრომლები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 41 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG) გენდერის მკვლევარი - ეკატერინე აღდგომელაშვილი და იურისტი - ქეთი ბახტაძე.

- **2021 წლის 16-17 და 18-19 აგვისტოს** (2 ტრენინგი), ქ. ქუთაისში პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის Case Bank V7 შესახებ“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები, ასევე, სპეციალისტები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 41 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა - მარიამ ზანგალაძე.

- **2021 წლის 22-23, 24-25, 26-27 და 30-31 აგვისტოს** (4 ტრენინგი) ქ. თბილისში პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში" (USAID/PROLoG) მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის Case Bank V7 შესახებ". ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები, ასევე აპარატის თანამშრომლები და სპეციალისტები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 82 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა - მარიამ ზანგალაძე.

- **2021 წლის 10, 13 და 14 სექტემბერს** (3 ტრენინგი) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში" (USAID/PROLoG) მხარდაჭერით, დისტანციურად, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „განახლებული იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემა Case Bank-ის შესახებ". ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 33 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა - მარიამ ზანგალაძე.

- **2021 წლის 21-28 ოქტომბერსა და 8-19 ნოემბერს** (1 ტრენინგი) გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრში (Barnahus) ჩართული პროფესიონალებისთვის". ტრენინგში მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და აპარატის თანამშრომლები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 5 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ როგორც უცხოელი ისე ქართველი ექსპერტები.

- **2021 წლის 23 ოქტომბერს,** ჩატარდა დისტანციური ტრენინგი იურიდიული დახმარების სამსახურის მობილურ აპლიკაციასთან დაკავშირებით. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტ-ოპერატორები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 4 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა ნოდარ ყარაშვილი.

- **2021 წლის 23-24 ოქტომბერს,** ბორჯომში, პროექტის „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმების მხარდაჭერა - სასამართლო რეფორმის სისხლისსამართლებრივი ასპექტები" ფარგლებში, (რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირისა (EU) და ევროპის საბჭოს მიერ (COE) და ხორციელდება ევროპის საბჭოს პროგრამის „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის" ფარგლებში) ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ადამიანის უფლებების სტანდარტის გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში". ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და აპარატის თანამშრომლები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 17 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა - ევროპის საბჭოს ექსპერტი - ლევან მესხორაძე.

- **2021 წლის 13-14 ნოემბერს,** კახეთში, პროექტის „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმების მხარდაჭერა - სასამართლო რეფორმის სისხლისსამართლებრივი ასპექტები"

ფარგლებში, (რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირისა (EU) და ევროპის საბჭოს მიერ (COE) და ხორციელდება ევროპის საბჭოს პროგრამის „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ ფარგლებში) ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ადამიანის უფლებების სტანდარტის გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და აპარატის თანამშრომლები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 17 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა - ევროპის საბჭოს ექსპერტი - ლევან მესხორაძე.

- **2021 წლის 10 და 15 ნოემბერს**, (2 ტრენინგი) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) მხარდაჭერით, დისტანციურად, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ ადამიანით ვაჭრობა- ტრეფიკინგი“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 30 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი - მარინა მესხი.

- **2021 წლის 23 და 24 ნოემბერს** (2 ტრენინგი) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) მხარდაჭერით, დისტანციურად, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - "უდანაშაულო პირის განზრახ პასუხისგებაში მიცემა". ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 20 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი - ირაკლი ქსოვრელი.

- **2021 წლის 26 ნოემბერს და 2 დეკემბერს** (2 ტრენინგი) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) მხარდაჭერით, დისტანციურად, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - "დისკრიმინაციის აკრძალვა და პირადი ცხოვრების უფლება". ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 34 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი - ლევან მესხორაძე.

- **2021 წლის 26-27 ნოემბერს,** ბათუმში, პროექტის „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმების მხარდაჭერა - სასამართლო რეფორმის სისხლისსამართლებრივი ასპექტები“ ფარგლებში, (რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირისა (EU) და ევროპის საბჭოს მიერ (COE) და ხორციელდება ევროპის საბჭოს პროგრამის „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ ფარგლებში) ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ადამიანის უფლებების სტანდარტის გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და აპარატის თანამშრომლები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 17 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა - ევროპის საბჭოს ექსპერტი - ლევან მესხორაძე.

- **2021 წლის 27 ნოემბერს და 4 დეკემბერს,** (2 ტრენინგი) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) მხარდაჭერით, დისტანციურად, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - "ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობა". ტრენინგში

მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 32 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი - ქეთევან მესხიშვილი.

- **2021 წლის 29 ნოემბერს და 30 ნოემბერს** (2 ტრენინგი) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში" (USAID/PROLoG) მხარდაჭერით, დისტანციურად ჩატარდა ტრენინგი თემაზე - "უკანონო დაკავება ან დაპატიმრება/ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უკანონო მოთავსება ან დაკავება". ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 34 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი - გიორგი შავლიაშვილი.

- **2021 წლის 29 ნოემბერსა და 14 დეკემბერს,** (2 ტრენინგი) გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, დისტანციურად ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ყველა ჩართული უწყების თანამშრომლის მომზადება ინტეგრირებული მომსახურების (ბარნაჰუს) კონცეფციის და სტანდარტული ოპერაციული პროცედურების მიმართულებით". ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 12 თანამშრომელი.

- **2021 წლის 12-15 დეკემბერს**, კახეთში, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა (UN WOMEN) და ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი თემაზე - „სქესობრივი დანაშაული". ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და აპარატის თანამშრომლები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 12 თანამშრომლები. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - თამარ დეკანოსიძე და სოფიო ტაბაღუა.

- **2021 წლის 12 ნოემბრის- 17 დეკემბრის პერიოდში,** ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლების ბიუროს (INL) მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების ვისკონსინის ადვოკატების მიერ დისტანციურად ჩატარდა ექვსკვირიანი ტრენინგი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტთან დაკავშირებით საპროცესო უნარებში. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 10 თანამშრომელი.

- **2021 წლის 14-15 დეკემბერს,** კახეთში, გაეროს უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობა საქართველოში (UNHCR) მხარდაჭერით ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი თემაზე - „ლტოლვილთა სამართალი". ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 6 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი - თორნიკე ცაგარეიშვილი.

• **2021 წლის 17 დეკემბერს,** თბილისში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი თემაზე - „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 8 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტები - სოფიო ტაბაღუა და ირმა ალადაშვილი.




### *4. სასწავლო მოდულები*

**2021 წელს, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით ექსპერტების მიერ სამსახურის სასწავლო ცენტრისათვის მომზადდა 5 ტრენინგ მოდული. კერძოდ,**

• პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) მხარდაჭერით, ექსპერტის მიერ შეიქმნა მოდული სახელწოდებით: „სამართლებრივი მარლწერა“.

• პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) მხარდაჭერით, ექსპერტის მიერ შეიქმნა მოდული სახელწოდებით: „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ძალადაკარგულად გამოცხადება (სამართლებრივი შედეგები); ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად ცნობა (სამართლებრივი შედეგები)“.

- პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) მხარდაჭერით, ექსპერტის მიერ შეიქმნა მოდული სახელწოდებით: „ადამიანით ვაჭრობა, არასრულწლოვნით ვაჭეობა, ტრეფიკინგი“.

- გაეროს უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობა საქართველოშის (UNHCR) მხარდაჭერით, ექსპერტის მიერ შეიქმნა მოდული სახელწოდებით: „ლტოლვილთა სამართალი“.

- გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით, ექსპერტის მიერ შეიქმნა მოდული სახელწოდებით: „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხები“.

## *5. სამუშაო შეხვედრები*

იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის თანამშრომლები, საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები მონაწილეობდნენ სხვადასხვა უწყებების მიერ სამართლებრივ საკითხებზე გამართულ ტრენინგებში, შეხვედრებში და კონფერენციებში. კერძოდ:

- **2021 წლის 22 და 25 თებერვალს** (2 შეხვედრა), „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელმა“ (NCCE) „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) მხარდაჭერით გამართა დისტანციური შეხვედრა დამოუკიდებელ ინსპექტორთან. შეხვედრაზე წარდგენილ იქნა პრეზენტაცია დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობის, 2020 წლის მნიშვნელოვანი საქმეების, გადაცდომების სტატისტიკისა და მიღწეული შედეგების შესახებ. შეხვედრას ესწრებოდა იურიდიული დახმარების სამსახურის 16 ადვოკატი.

- **2021 წლის 5 მარტს**, ევროპის საბჭოს (CoE) მხარდაჭერით გაიმართა დისტანციური შეხვედრა. შეხვედრაზე წარდგენილ იქნა ევროპის საბჭოს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის, არასამთავრობო ორგანიზაციის „თანასწორობა დღეს,“ საქართველოს გენერალური პროკურატურის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლობით შემუშავებული სექსუალური დანაშაულების შესახებ სახელმძღვანელოს პრეზენტაცია. შეხვედრას ესწრებოდა იურიდიული დახმარების სამსახურის 4 ადვოკატი.

- **2021 წლის 30 მარტს,** თავშესაფრის მაძიებლების, საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირებისა და საქართველოში მცხოვრები მიგრანტების სამართლებრივ დახმარების გაწევის პროცესში გამოვლენილი გამოწვევების განხილვის მიზნით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის - „მიგრანტების სამართლებრივი დახმარება საქართველოში“, პროექტის ფარგლებში სხვადასხვა უწყებებმა, მათ შორის იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებმა იმსჯელეს შემდეგ საკითხებზე: სახელმწიფო უსაფრთხოება და საერთაშორისო დაცვის/ბინადრობის ნებართვის მინიჭება უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის

არმქონე პირებისთვის; საერთაშორისო დაცვის/ზინადრობის ნებართვების საქმეთა განხილვა საქართველოს საერთო სასამართლოებში;

- **2021 წლის 19-23 აპრილს,** ბორჯომში, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გაეროს საქართველოს ოფისის (UN) მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი: „მრავალმხრივი მიდგომები და წინაპირობები შეზღუდული შესაძლებლობის სფეროს ინკლუზიური განვითარებისთვის“. შეხვედრას ესწრებოდა დირექტორის პირველი მოადგილე ნინო მელაძე. ტრენინგზე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს წარედგინათ პრეზენტაციები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებზე და საერთაშორისო სტანდარტებზე. მონაწილეებმა იმსჯელეს საქართველოში არსებულ გამოწვევებზე, ახალი კანონის იმპლემენტაციისათვის საჭირო ღონისძიებებზე და მომავალ თანამშრომლობაზე.

- **2021 წლის 23 აპრილს**, გაიმართა დისტანციურად შეხვედრა თემაზე - „დისციპლინური სამართალწარმოება და დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური“. შეხვედრას უძღვებოდა დამოუკიდებელი ინსპექტორი ზურაბ აზნაურაშვილი. შეხვედრაზე წარდგენილ იქნა პრეზენტაცია მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობასა და დამოუკიდებელი ინსპექტორისათვის მიმართვის პროცედურებზე. დამოუკიდებელმა ინსპექტორმა უპასუხა ასევე ადვოკატთა კითხვებს. შეხვედრას ესწრებოდა იურიდიული დახმარების სამსახურის 17 თანამშრომელი - მათ შორის, საზოგადოებრივი ადვოკატები და აპარატის თანამშრომლები.

- **2021 წლის 28 მაისს,** ჩატარდა ტრენინგი სახელწოდებით "სანდოობის შეფასება თავშესაფრის საქმეებში". ტრენინგის მიმდინარეობისას განიხილეს მითითებული საკითხის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ნაწილი (პრაქტიკული სავარჯიშოები). ტრენინგს უღვებოდა საერთაშორისო ექსპერტი - გაბორ გულაი. შეხვედრას ესწრებოდა იურიდიული დახმარების სამსახურის 2 ადვოკატი.

- **2021 წლის 15-16 ივნისს,** კახეთში, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის (OHCHR) მიერ ჩატარდა სამუშაო შეხვედრა წამების მსხვერპლთა ეფექტური იურიდიული დახმარების შესახებ. შეხვედრის მიმდინარეობისას განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: საქართველოში წამების დეფინიციასთან დაკავშირებით არსებული პრობლემების მოკლე მიმოხილვა და საერთაშორისო სტანდარტი, წამებასთან დაკავშირებულ გაეროს და ევროსაბჭოს ორგანიების მიერ დადგენილი იურისპრუდენცია და პრეცედენტული სამართლის მოკლე ანალიზი, იურიდიული დახმარების ფინანსური და ადამიანური რესურსი და ამჟამინდელი გამოცდილება, წამების მსხვერპლთათვის ეფექტიანი იურიდიული დახმარების გაწევის კუთხით. შეხვედრას ესწრებოდა იურიდიული დახმარების სამსახურის 12 თანამშრომელი.

- **2021 წლის 6 აგვისტოს,** სამსახური მონაწილეობდა სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით

განხორციელებულ პროექტში „კარგი მმართველობა გენდერული მეინსტრიმინგისთვის საქართველოში“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში შეფასდა ქვეყანაში არსებული გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმები, რათა გაანალიზებულიყო ქვეყანაში არსებული პოლიტიკა გენდერული მეინსტირმინგის მიმართულებით, მათ შორის უწყებათაშორისი კომისიის მუშაობა და განხორციელებული აქტივობები.

- **2021 წლის 5-10 აგვისტოს,** იურიდიული დახმარების სამსახურმა მონაწილეობა მიიღო პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) ფარგლებში, განხორციელებულ სამართლებრივი ბაზრის კვლევაში. კვლევა ჩატარდა კომპანია „ეისითის“ მიერ. კვლევის მიზანი იყო, შეესწავლა და გაეანალიზებინა სამართლებრივი ბაზრის საჭიროებები - ერთის მხრივ, რა მოთხოვნები აქვთ დამსაქმებლებს, მეორე მხრივ კი, რამდენად აკმაყოფილებს იურისტთა მომზადების არსებული დონე აღნიშნულ მოთხოვნებს და სად არის ძირითადი განსვლა.

- **2020 წლის 17 სექტემბერს,** საქართველოს მთავრობის N1825 განკარგულებით, დამტკიცდა ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფცია, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ბავშვის საუკეთესო ინტერესზე მორგებული, ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და სპეციფიკა. კონცეფციით გათვალისწინებული ღონისძიებების, მომსახურების ცენტრში სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის გადამისამართების, მასთან საგამოძიებო, საპროცესო თუ სხვა მოქმედებების ჩატარების ეფექტურად უზრუნველყოფის მიზნით, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, ადამიანის უფლებათა სამდივნოს კოორდინაციით და შესაბამისი უწყებების აქტიური ჩართულობის შედეგად შემუშავდა სტანდარტული ოპერაციული პროცედურები თითოეული უწყებისთვის, მათ შორის იურიდიული დახმარების სამსახურისთვის.

- **2021 წლის 21 სექტემბერს,** სამსახურმა მონაწილეობა მიიღო სახალხო დამცველის აპარატის ინიციატივით გამართულ კონფერენციაში ,,COVID-19 პანდემიის გავლენა კონფლიქტით დაზარალებულ ქალებსა და გოგოებზე“. კონფერენციაზე განხილული იქნა ლოკალური უსაფრთხოების პოლიტიკა, კოვიდ პანდემიის სოციალური და ეკონომიკური გავლენები კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებსა და გოგოებზე. ასევე, ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებების შესრულების სტატუსი. სამსახურმა მისი კომპეტენციის ფარგლებში წარადგინა ანგარიში.

**2021 წლის 23-24 სექტემბერს,** ქალაქ ბათუმში, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ (UNICEF) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეგიდით ჩატარდა მეორე საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით: „ბავშვთა უფლებების საკითხების ჩართვა

საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებში“. კონფერენციას ესწრებოდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი და აპარატის 2 თანამშრომელი.

- **2021 წლის 9-10 ოქტომბერს,** კახეთში, ევროპის საბჭოს (COE) მხარდაჭერით ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაიმართა მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა ზენჩ-ბარის ფორმატში ბავშვთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. შეხვედრას ესწრებოდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი, 1 აპარატის თანამშრომელი და 1 საზოგადოებრივი ადვოკატი.

- **2021 წლის 21 ოქტომბერს,** თბილისში, ევროპის საბჭოსა (COE) და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა „ადვოკატის პროფესიული საიდუმლოების დაცვის მნიშვნელობაზე“; შეხვედრას ესწრებოდა იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილე.

- **2021 წლის 21 ოქტომბერს,** იურიდიული დახმარების სამსახური მონაწილეობდა საქართველოსთვის ევროპის საბჭოს 2020-2023 წლების სამოქმედო გეგმის მმართველი კომიტეტის შეხვედრაში. კომიტეტის შეხვედრაზე მონაწილეებმა გაცვალეს საკუთარი მოსაზრებები იმ პროექტების განხორციელების მდგომარეობის შესახებ, რომლებიც მხარს უჭერენ საზოგადოების დემოკრატიზაციას, კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებების დაცვასა და თანასწორობას. შეფასდა სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები, მოსამართლეების, პროკურორების, გამომძიებლებისა და ადვოკატების შესაძლებლობების გაძლიერების ასპექტები არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. შემუშავდა რეკომენდაციები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო დებულებების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსასვლელად.

- **2021 წლის 26 ოქტომბერს,** თბილისში, პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა თემაზე - „ადვოკატთა ასოციაციის როლი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში“. შეხვედრას ესწრებოდა იურიდიული დახმარების სამსახურის ანალიტიკური სამმართველოს უფროსი.

- **2021 წლის 18-20 ნოემბერს,** კახეთში, ამერიკის საელჩოს ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა ოჯახში ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებზე. შეხვედრას ესწრებოდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის 1 თანამშრომელი და 1 საზოგადოებრივი ადვოკატი. სამუშაო შეხვედრაში სასამართლოსა და პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებიც. შეხვედრისას განხილული იქნა გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის სფეროში არსებული გამოწვევები და ტენტენციები, ასევე მტკიცებულებითი სტანდარტები ოჯახური ძალადობის საქმეებზე;

- **2021 წლის 26 ნოემბერს,** თბილისში, ორგანიზაცია პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR) ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე - „ფსიქოლოგის როლი არასრულწლოვნებთან დაკავშირებული სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განხილვისას“. შეხვედრას ესწრებოდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის 3 თანამშრომელი და 1 საზოგადოებრივი ადვოკატი.

- **2021 წლის 3 დეკემბერს,** საქართველოს პარლამენტში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი შეხვდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძეს და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებს. შეხვედრაზე განიხილეს რეკომენდაციები იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

- **2021 წლის 7 დეკემბერს,** თბილისში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UNWOMEN) ორგანიზებით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე - „ფსიქოლოგის როლის განსაზღვრა იურიდიული დახმარების სამსახურში“. შეხვედრის ფარგლებში ექსპერტის მიერ შეიქმნა დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად არის მიმოხილული და განსაზღვრული ფსიქოლოგის როლი. ასევე, გამოიკვეთა ფსიქოლოგებისთვის და ადვოკატებისთვის აღნიშნულ თემაზე ტრენინგ საჭიროებები.შეხვედრას ესწრებოდა იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის 9 თანამშრომელი და 1 საზოგადოებრივი ადვოკატი.

- **2021 წლის 9 დეკემბერს,** თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი დაესწრო არასამთავრობო ორგანიზაცია წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის (GCRT) მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას "ტრავმა-ინფორმირებული პრაქტიკის დანერგვა სექსუალური ძალადობის მსხვერპლებისათვის საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში." ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულზე მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ კვლევის შედეგები. როგორც მსხვერპლის პერსპექტივიდან, ასევე საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკაში არსებული გამოწვევების მიმართულებით.

- **2021 წლის 10 დეკემბერს,** თბილისში, ევროკავშირის (EU), საქართველოს სახალხო დამცველისა და გაეროს განვითარების ფონდის (UNDP) ორგანიზებით გაიმართა სახალხო დამცველისა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ფორუმი „ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესება და უთანასწორობის შემცირება“. შეხვედრას ესწრებოდა იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი.

- **2021 წელს,** „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-16 მუხლის მომზადებული საქართველოს მე-3 პერიოდული ანგარიშის ფარგლებში, რომლის მიზანია გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტისთვის (ESCRC) ინფორმაციის მიწოდება საქართველოში პაქტით გათვალისწინებულ ადამიანის უფლებებთან (HR) დაკავშირებით, სახელმწიფოს

განხორციელებული პროგრესის შესახებ, იურიდიული დახმარების სამსახურმა წარადგინა ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით საკანონმდებლო მანდატის გაზრდასა და სამოქმედო გეგმის შექმნის შესახებ, ასევე ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფის შესახებ.

- **2021 წელს,** EU/CoE რეგიონული პროექტის - „ადვოკატის პროფესიის გაძლიერება ევროპული სტანდარტების შესაბამისად" ფარგლებში, ჩატარდა კონფერენცია, რომელიც მიზნად ისახავდა ევროსაბჭოს სტანდარტებისა და რეკომენდაციების შესაბამისად ადვოკატთა ასოციაციებსა და მონაწილე ქვეყნების იურიდიულ საზოგადოებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, უფასო იურიდიული დახმარების სამსახურების შიდა ფუნქციონირებისა და დამოუკიდებლობის გაუმჯობესებას. პროექტის ფარგლებში განხილული იქნა ადვოკატთა ფუნქციონირების საპროცესო და ინსტიტუციური სტრუქტურის მიმდინარე გამოწვევები და შესაძლებლობები და განხორციელდა მონაწილე ქვეყნების იურისტთა საქმიანობის საპროცესო და ინსტიტუციური სისტემის შედარებითი მიმოხილვა. სამსახურმა პროექტის ფარგლებში წარადგინა თავისი პოზიცია.

## *6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია*

### *6.1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები*

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2021 წელს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურში ჩაატარა მოქალაქეთა იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი, რომლის მიზანი იყო სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების გამოვლენა და მათ აღმოსაფხვრელად ქმედითი რეკომენდაციების გაცემა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის 19 ოქტომბრის N40/36 მოქალაქეთა იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის მიხედვით, აუდიტი მოიცავს 2019-2020 წლების პერიოდს, ასევე საჭიროების შემთხვევაში 2021 წელს განხორციელებულ ყველა საქმიანობას და შიდა პროცესებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაიცა რეკომენდაციები:

**რეკომენდაცია N1**

სასწავლო ცენტრის სტრატეგიის იმპლემენტაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია სამსახურმა დოკუმენტში დეტალურად, წლების მიხედვით განსაზღვროს განსახორციელებელი აქტივობები, ხოლო საჭირო ტრენინგების უწყვეტ რეჟიმში მიწოდების მიზნით, უზრუნველყოს საჭიროებების კვლევის სრულყოფილად ჩატარება.

**რეკომენდაცია N2**

საზოგადოებაში სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, მნიშვნელოვანია სამსახურმა შეიმუშაოს და დანერგოს განხორციელებული საქმიანობის შედეგების შეფასების/გაზომვის მეთოდოლოგია, რომელიც ხელს შეუწყობს ხარვეზების გამოვლენას და ორიენტირებული იქნება მათ აღმოფხვრაზე.

**რეკომენდაცია N3**

საბიუჯეტო სახსრების სრულყოფილად მობილიზების მიზნით, სამსახურმა შეიმუშაოს იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირის სასარგებლოდ დასრულებული სასამართლო გადაწყვეტილებების აღრიცხვიანობის წესი და დანერგოს იურიდიული დახმარების ხარჯების მოთხოვნის პრაქტიკა.

**რეკომენდაცია N4**

უფასო იურიდიულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის მიზნით, იურიდიული დახმარების სამსახურმა შეიმუშაოს წესი, რომელიც მაქსიმალურად მოიცავს იმ პირთა წრეს, რომლებსაც ოჯახში კონფლიქტის ან ერთობლივ შემოსავალზე შეზღუდული წვდომის არსებობის შემთხვევაში ესაჭიროებათ იურიდიული დახმარება.

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 2021 წლის 19 ნოემბრის LA 9 21 00030101 წერილით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის 19 ოქტომბრის N 014011/13 წერილის პასუხად, წარდგენილ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების გეგმა. (შენიშვნა: აღნიშნულმა გეგმამ შემდგომში განიცადა გარკვეული ცვლილებები. რეკომენდაციებთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმა/ინფორმაცია ატვირტულ იქნა შესაბამის ელექტრონულ სისტემაში).

### *6.2. რეკომენდაციების შესრულება*

**რეკომენდაცია N1** - რეკომედაციას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ელექტრონულ სისტემაში აქვს სტატუსი „შესრულებული“.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ელექტრონულ სისტემაში რეკომენდაციის შესრულების პერიოდად განსაზღვრული ვადა იყო - 2022 წლის 31 იანვარი.

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ უკვე განხორციელდა აუდიტის სამსახურის ელექტრონულ სისტემაში მითითებული ფაქტობრივად განხორციელებული აქტივობები და აუდიტის სამსახურს წარედგინა სასწავლო ცენტრის 2022 წლის სამოქმედო გეგმა. აღნიშნული სამოქმედო გეგმა შედგენილია სასწავლო ცენტრის 2021-2026 წლის სტრატეგიის დოკუმენტის საფუძველზე და არის მისი განუყოფელი ნაწილი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის

რეკომენდაციების მონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში (ARIS), სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაადასტურა რეკომენდაციის საბოლოო შედეგის შესრულების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია და რეკომენდაციას მიენიჭა სტატუსი შესრულებული.

**რეკომენდაცია N2** - რეკომედაციას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ელექტრონულ სისტემაში აქვს სტატუსი „მიმდინარე“.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ელექტრონულ სისტემაში რეკომენდაციის შესრულების პერიოდად განისაზღვრა ვადა - 2022 წლის 31 მარტი.

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ უკვე განხორციელდა აუდიტის სამსახურის ელექტრონულ სისტემაში მითითებული ფაქტობრივად განხორციელებული აქტივობების ასახვა და აუდიტის სამსახურს წარედგინა საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრების განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია.

**რეკომენდაცია N3** – რეკომედაციას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ელექტრონულ სისტემაში აქვს სტატუსი „მიმდინარე“.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ელექტრონულ სისტემაში რეკომენდაციის შესრულების პერიოდად განისაზრვრა ვადა - 2022 წლის 25 ივნისი.

რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურმა 2021 წლის 28 დეკემბერს LA 3 21 00034174 წერილით მიმართა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს იმასთან დაკავშირებით, რომ იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირის სასარგებლოდ დასრულებულ საქმეზე ხარჯების მოთხოვნა საჭიროებს დეტალურ საკანონმდებლო რეგულაციებს არსებული რეგულაციების ზოგადი ხასიათისა და არაერთგვაროვანი სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით. აღნიშნულ წერილში მითითებულია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მითითებული რეკომენდაციის შესრულების მიზნით იურიდიული დახმარების სამსახური მზად არის მონაწილეობა მიიღოს საქართველოს პარლამენტში აღნიშნული საკითხის განხილვაში ნებისმიერი ფორმატით, მათ შორის, შესაბამისი საკანონმდებლო წინადადების შემუშავებისთვის.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში 2022 წლის 13 იანვარს გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელზეც იმსჯელეს მოქალაქეთა უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტის შესახებ.

სამსახურის ადვოკატებს დაევალათ აუდიტის რეკომენდაციაში მითითებული ხარჯების მოთხოვნა.

**რეკომენდაცია N4** – რეკომედაციას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ელექტრონულ სისტემაში აქვს სტატუსი „მიმდინარე“.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ელექტრონულ სისტემაში რეკომენდაციის შესრულების პერიოდად განისაზღვრა ვადა - 2022 წლის 29 იანვარი.

იურიდიული დახმარების საბჭოს 2021 წლის 28 დეკემბრის N97 გადაწყვეტილებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციის საფუძველზე იურიდიული დახმარების გაწევის საგამონაკლისო კრიტერიუმებში შევიდა ცვლილებებს.

# VIII. სამსახურის სამართლებრივი აქტივობები

## 1. სამსახურის ორგანიზებით ჩატარებული კონფერენციები

### 1.1. "ბავშვთა უფლებებთან და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების "მიმოხილვა

ბავშვის უფლებათა კოდექსის პრაქტიკული და თეორიული საკითხების განხილვისა და არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებისათვის 2021 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ საქართველოს 4 ქალაქში - გორში (4 ნოემბერი), ახალციხეში (3 ნოემბერი), ოზურგეთსა (2 ნოემბერი) და თბილისში (6 ნოემბერს) ჩატარდა კონფერენციები იურიდიული დახმარების სამსახურისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატების მონაწილეობით.

თითოეულ კონფერენციაზე სამსახურის მიერ მოწვეული ექსპერტის - მაია ბაქრაძის მიერ წარმოდგენილი იყო პრეზენტაცია ბავშვის უფლებათა კოდექსის აქტუალურ საკითხებზე. პრეზენტაციაზე დამსწრეებმა მიიღეს ინფორმაცია განვითარებული ქვეყნების მიდგომებთან და სასამართლოს პრაქტიკასთან დაკავშირებით.

კონფერენციაზე გაიმართა დისკუსიები, სადაც ადვოკატებმა ექსპერტთან ერთად განიხილეს პრაქტიკული საქმიანობის დროს წარმოშობილ საკითხები რომლებიც საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებებს.

კონფერენციებს ესწრებოდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, დავით ასათიანი, რომელმაც ყურადღება გაამახვილა საკითხის აქტუალურობასა და ამ მხრივ ორი უწყების თანამშრომლობის სამომავლო საკითხებზე.

### 1.2. „ბავშვთა უფლებების დაცვა და მართლმსაჯულება“

2021 წლის **8 ოქტომბერს,** ქ. ბათუმში სასტუმრო „რედისონში“ იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა კონფერენცია თემაზე -„ბავშვთა უფლებების დაცვას და მართლმსაჯულება“.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ აჭარის სოციალური მომსახურების სააგენტოს და ადგილობრივი მზრუნველობითი ორგანიზაციების პირველი პირები, ასევე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი იურიდიული დახმარების ბიუროების (ბათუმის, ფოთის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ქუთაისის და ზესტაფონის) წარმომადგენლები.

კონფერენციაზე სპიკერებმა: ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატმა ინგა ყიფიანმა, ბათუმის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატმა ნატო ირემაძემ და ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატმა მაია დარასელიამ პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, აუდიტორიაზე წარუდგინეს თავიანთი მოსაზრებები არსებულ გამოწვევებთან

დაკავშირებით. კონფერენციაზე გაიმართა დისკუსია „მზრუნველობის ორგანოების“ წარმომადგენლებთან და მოხდა გარკვეული საკითხების იდენტიფიცირება, რომლებიც საჭიროებს დამატებით საკანონმდებლო რეგულირებას.

### 1.3. „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება იურიდიული დახმარების სამსახურში“

2021 წლის 30 სექტემბერს, „შერატონ მეტეხი პალასში“, იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა კონფერენცია „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება იურიდიული დახმარების სამსახურში“.

## 2. ბენჩ-ბარი

**2021 წლის 24-26 სექტემბერს**, იურიდიული დახმარების სამსახურის ინიციატივით, კაჭრეთში გაიმართა ბენჩ-ბარი თემაზე „წამების აკრძალვა“.

ბენჩ-ბარში მონაწილეობდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის, სახალხო დამცველის აპარატისა და სასამართლოს წარმომადგენლები.

პროექტის მიზანი იყო - გამოკვეთილიყო აქტუალური საკითხები წამებასთან მიმართებით, გაღრმავებულიყო კომუნიკაცია უწყებებს შორის და ჩამოყალიბებულიყო საერთო პოზიცია სხვადასხვა პრობლემურ საკითხზე.

შეხვედრაზე მონაწილეებს ექსპერტმა ბესარიონ ბოხაშვილმა წარუდგინა პრეზენტაცია წამებაზე, რომელიც მოიცავდა ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს პრაქტიკას და ქართული კანონმდებლობის მიმოხილვას.
მონაწილეებმა იმსჯელეს პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებზე და მომავალი უწყებათაშორისო ურთიერთობების დახვეწაზე ადამიანის უფლებების ეფექტურად დაცვისათვის და წამების საქმეების ეფექტურად გამოძიებისა და დროული რეაგირებისათვის.

ბენჩ-ბარი განხორციელდა „ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობა საქართველოს (OHCHR)” და „ევროკავშირი საქართველოსთვის“ მხარდაჭერით.

## 3. სამართლებრივი კვლევები

- **ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის შედარებით სამართლებრივი ანალიზი.**

კვლევის მიზანი იყო საქართველოში ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის მარეგულირებელი ახალი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბებისათვის აკადემიური ბაზის მომზადება უცხოური გამოცდილების შესწავლისა და გააანალიზების გზით.
კვლევის პროცესში შესწავლილი იქნა გერმანიის, ლიეტუვის, პოლონეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბრიტანეთისა და ისრაელის კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა. კვლევების შედეგად შემუშავდა შესაბამისი კანონპროექტი.

- **სამსახურის ტერიტორიული ხელმისაწვდომობის ანალიზი.**

რეგიონების მიხედვით მოსახლეობის გამოკითხვის, ოფისების ტერიტორიული განლაგებისა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით კვლევამ გამოკვეთა ტერიტორიული ხელმისაწვდომობის პრობლემები;

- **ქართული სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა - ხელშეკრულების „ძლიერი“ და „სუსტი“ მხარეები.**

განხორციელდა სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ხელშეკრულების „ძლიერი“ და „სუსტი“ მხარის განმარტებასთან და უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

- **წარმატებული საქმის კრიტერიუმების განსაზღვრა შედარებით სამართლებრივი ანალიზი.**

განხორციელდა შედარებითსამართლებრივი ანალიზი, რომელთა საფუძველზე ჩამოაყალიბა წარმატებული საქმის კრიტერიუმები როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო საქმეებში.

- **ბავშვის საუკეთესო ინტერესების შედარებით სამართლებრივი ანალიზი.**

კვლევის მიზანი იყო ბავშვის საუკეთესო ინტერესის ცნების განსაზღვრა როგორც იურიდიული ლიტერატურის, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებების მიმოხილვის საფუძველზე. ამ მიზნით, შესწავლილ იქნა 9 საკანონმდებლო აქტი, 12 კვლევა და ანგარიში და 17 სასამართლო გადაწყვეტილბა (აქედან 14 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვტილება).

- **იმიტირებული პროცესების შეფასების მეთოდოლოგია.**

ოქსფორდის უნივერსიტეტის კრიტერიუმებზე დაყრნობით ჩამოყალიბა იმიტირებული პროცესების შეფასების კრიტეიუმები ორი მიმართულებით: იმიტირებული პროცესების, როგორც ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის შესაფება და იმიტირებულ პროცესებში მონაწილეები პირების ხარისხის შეფასება.

# IX. უწყებათაშორისი ურთიერთობები

## 1. სამსახურის მიერ გაფორმებული მემორანდუმები

**2021 წელს,** სამსახურის მიერ გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის **11 მემორანდუმი.**

- **2021 წლის 25 მაისს,** ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, იურიდიული დახმარების სამსახურსა და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შორის გაფორმდა შეთანხმება. შეთანხმების თანახმად, იურიდიული დახმარების სამსახურისთვის ელექტრონულად შესაძლებელი გახდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან საჭირო ინფორმაციის მიღება და დამუშავება.

- **2021 წლის 8 აპრილს,** იურიდიული დახმარების სამსახურსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) საქართველოს ოფისს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს უფროსმა მრჩეველმა სამართლებრივ საკითხებში იოჰანეს ფრანცმა. მემორანდუმი ითვალისწინებს თანამშრომლობას სამსახურის ადვოკატების, კონსულტანტების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მემორანდუმის ფარგლებში, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს გადმოეცა კომპიუტერული ტექნიკა.

- **2021 წლის 9 აპრილს**, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურსა და საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის ფარგლებში გაიხსნა „პრაქტიკული სამართლის კლინიკა“. კლინიკის ფარგლებში, სამართლის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები შეძლებენ პრაქტიკული ცოდნის მიღებასა და უნარების გამომუშავებას საზოგადოებრივი ადვოკატებთან;

- **2021 წლის 23 აპრილს,** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურსა და საქსტატს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის თანახმად, იურიდიული დახმარების სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქსტატს აღმოუჩენს შესაბამის დახმარებას ინფორმაციის მოპოვებისა და მიღების ორგანიზებაში; თავის მხრივ, საქსტატი სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამის ფარგლებში, განახორციელებს სამსახურისთვის საჭირო სტატისტიკური მონაცემების პერიოდულ მიწოდებას, მონაცემების გადამუშავების და სხვა საკითხების შესახებ პროფესიული კონსულტაციებისა და რჩევების გაცემას.

- **2021 წლის 4 ივლისს,** სსიპ "იურიდიული დახმარების სამსახურსა" და ააიპ "ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია - საქართველოს (ELSA)" შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, მხარეთა საერთო ინტერესებში შემავალ აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე თანამშრომლობისა და ერთობლივი სასწავლო საგანმანათლებლო პროექტების

განხორციელებისათვის. მემორანდუმის ფარგლებში, ააიპ "ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციას საქართველოს (ELSA)" წევრები შეძლებენ სტაჟირების გავლას იურიდიული დახმარების სამსახურში.

- **2021 წლის 23 აგვისტოს,** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა, ენერგოომბუდსმენმა სალომე ვარდიაშვილმა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ, დავით ნარმანიამ ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის ფარგლებში იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს სამართლებრივ კონსულტაციას ენერგეტიკის სექტორის მომხმარებლებისათვის; ენერგოომბუდსმენი უზრუნველყოფს იურიდიული დახმარების სამსახურისთვის ინფორმაციის პერიოდულ მიწოდებას ენერგეტიკის სექტორში არსებული რეგულაციებისა და პრაქტიკის შესახებ, რაც გაუმარტივებს სამსახურს პროფესიული კონსულტაციებისა და რჩევების გაცემას; თავის მხრივ, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ უზრუნველყოფილი იქნება, სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად, ინფორმაციის მიწოდება ენერგეტიკის სექტორში არსებული რეგულაციებისა და კომისიის განზოგადებული პრაქტიკის თაობაზე,

- **2021 წლის 8 ოქტომბერს**, გაფორმდა მემორანდუმი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტთან. მემორანდუმის თანახმად, უნივერსიტეტის სტუდენტები სტაჟირებას გაივლიან ბათუმის იურიდიული დახმარების ბიუროში და აქტიურად იქნებიან ჩართული იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ სამართლებრივი ცნობიერების ასამაღლებელი პროექტების განხორციელებაში.

- **2021 წლის 13 ოქტომბერს,** საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურსა და „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანულ ჟურნალს“ შორის.

დოკუმენტს ხელი მოაწერეს სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა, ჟურნალის გამომცემლებმა, გიორგი ჟორჟოლიანმა და სულხან გამყრელიძემ.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ განხორციელდება სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტები ორივე მხარისთვის მნიშვნელოვან, სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, ჩატარდება ერთობლივი სამუშაო შეხვედრები, სემინარები, კონფერენციები და კვლევები.

მემორანდუმის ფარგლებში ასევე ჟურნალში გამოქვეყნდება იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მიერ მომზადებული სამართლებრივი სტატიები. ჟურნალის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას იურიდიული დახმარების სამსახურის რადიო პროექტში "სამართლებრივი რჩევები".

- **2021 წლის 19 ოქტომბერს,** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურსა და პროფესიულ კოლეჯ ”მერმისს” შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის თანახმად, იურიდიული დახმარების სამსახური კოლეჯის სტუდენტებს გააცნობს თავიანთ უფლებებსა და ამ უფლებების პრაქტიკაში რეალიზების საშუალებებს, როგორც დისტანციურად, ასევე უშუალო შეხვედრების გზით. თავის მხრივ, კოლეჯი აქტიურად ჩაერთვება სამსახურის მიერ ორგანიზებული პროექტების განხორციელებაში.

- **2021 წლის 12 ნოემბერს,** ბრალდებულის საპროცესო უფლებების სრულფასოვნად დაცვის უზრუნველსაყოფად და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის (ბრალდებულის მიერ ადვოკატის აყვანა) ეფექტიანად აღსრულების მიზნით, საქართველოს მთავარი პროკურატურის შენობაში ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. მემორანდუმს ხელი მოაწერეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ დავით ასათიანმა. მემორანდუმით მხარეები შეთანხმდნენ საქმეში ადვოკატებისა და საზოგადოებრივი ადვოკატების ჩართულობის ეფექტურ მექანიზმზე.

- **2021 წლის 12 მაისს,** სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, ა(ა)იპ ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრსა და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს შორის გაფორმდა მემორანდუმი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მმართველობის რეფორმის ფონდის (GRF) პროექტის - „საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალ საფეხურზე აყვანა“ (შემდგომში - პროექტი) ფარგლებში მხარეებს შორის თანამშრომლობის მიზნით სამსახურში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სრულყოფილი პროგრამის დასანერგად, კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობის ანალიზის, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებისა და სამაგალითო მოდელისა და სხვა დაწესებულებებისათვის კარგი პრაქტიკის მაგალითის დადგენისათვის.

მემორანდუმის ფარგლებში შედგა სამუშაო შეხვედრები პერსონალური მონაცემების დამუშავების პრაქტიკულ საკითხებზე.

## *2. სამთავრობო სამოქმედო გეგმები*

**2021 წელს იურიდიული დახმარების სამსახურს აღებული ჰქონდა კონკრეტული აქტივიზების შესრულების ვალდებულება შემდეგი სამთავრობო (ეროვნული) სამოქმედო გეგმებიდან:**

- წამებასთან ბრძოლის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა;
- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა;
- ტრეფიკინგთან ბრძოლის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა;

- მოქალაქეობის არმქონეობის აღმოფხვრის 2021 წლის ეროვნულ სამოქმედო გეგმა;
- ევროკავშირის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის (EU Gender Action Plan III) ფარგლებში „ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციის 2021- 2025 წლების სამოქმედო გეგმა;
- ადამიანის უფლებათა 2021–2030 წლების ეროვნული სტრატეგია;

**სამოქმედო გეგმების შესრულების ფარგლებში სამსახურის მიერ განხორციელდა აქტივობები:**

- წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა და სავარაუდო მსხვერპლთათვის დროული და ეფექტიანი უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- სამსახურის თანამშრომლებისათვის წამებისა და არასათანადო მოპყრობის საკითხებზე ტრენინგ-მოდულის შემუშავება;
- სამსახურის თანამშრომლების გადამზადება წამებისა და არასათანადო მოპყრობის საკითხებზე;
- იძულებით გადაადგილებულ ქალთა სექსუალური ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისგან დაცვის მიზნით, ასევე მათთვის სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სამართლებრივი დახმარების სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრისპირა რეგიონებში ქალებისა და გოგონებისათვის შეხვედრის ორგანიზება (უფასო იურიდიული კონსულტაცია);
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მაძიებლებისთვის უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთათვის უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- იურიდიული დახმარების სამსახურის ტერიტორიული მისაწვდომობის გაზრდა;
- იურიდიული დახმარების სამსახურისადმი მიმართვიანობის გაზრდა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის იურიდიული დახმარების სამსახურის ოფისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;

# X. საერთაშორისო ურთიერთობები და თანამშრომლობა

## *1. შეხვედრები*

**2021 წელს,** იურიდიული დახმარების სამსახურმა გამართა 9 საერთაშორისო შეხვედრა. შეხვედრები გაიმართა როგორც უშუალოდ, ასევე ონლაინ რეჟიმში.

- **2021 წლის 6 აპრილს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი, მისი მოადგილე სულხან გველესიანი და ანალიტიკური სამმართველოს უფროსი დავით სიმონია დისტანციურ რეჟიმში შეხვდნენ უკრაინის იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს ალექსანდრ ბარანოვს და ამავე სამსახურის წარმომადგენელს ალექსანდრ დენიდენკოს. შეხვედრაზე განიხილეს საქართველოსა და უკრაინის იურიდიული დახმარების სამსახურების ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივა. მხარეები შეთანხმდნენ, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაზე, რაც ხელს შეუწყობს ორივე ქვეყანაში უფასო სამართლებრივი დახმარების სერვისის განვითარებას და გამოცდილების ეფეტურად გაზიარებას;

- **2021 წლის 21 მაისს,** იურიდიული დახმარების სამსახურს აზერბაიჯანის დელეგაცია ეწვია. სტუმრებს შორის იყვნენ აზერბაიჯანის მილიმეჯლისის დიასპორებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვაგიფ სეიდბეკოვი, აზერბაიჯანული დიასპორის მხარდაჭერის ფონდის დირექტორის მოადგილე შაჰინ ჯამალოვი, საქართველოში აზერბაიჯანის საელჩოს პირველი მდივანი ანარ რასულოვი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის დიასპორებთან ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის ტერიტორიული დეპარტამენტის უფროსი ვუსალ მამადოვი. სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა სტუმრებს გააცნო უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემა და მისი ხელმისაწვდომობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. მხარეები შეთანხმდნენ სამომავლო თანამშრომლობაზე საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის უფასო სამართლებრივი დახმარების ეფექტური ხელმისაწვდომობისათვის;

- **2021 წლის 2 ივნისს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა, პირველმა მოადგილემ ნინო მელაძემ და ადმინისტრაციის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (რეგისტრირებული კავშირი, IRZ) ორგანიზებულ ონლაინ დისკუსიაში, ადვოკატთა ვიწრო სპეციალიზაციასთან დაკავშირებით. შეხვედრაზე განხილულ იქნა ადვოკატთა ვიწრო სპეციალიზაციის გერმანული მოდელი, რომლის პრეზენტაცია წარმოადგინა ადვოკატმა ფრანკ ენგელმანმა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ: IRZ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის პროექტების ხელმძღვანელი ფრანქ ჰუპფელდი, გერმანიის ადვოკატთა ფედერალური პალატის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი დოქტორი ვერონიკა ჰორერი, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით ასათიანი და საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის თანამშრომლები.

- **2021 წლის 10 სექტემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი და მისი მოადგილე სულხან გველესიანი, დისტანციურ რეჟიმში შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის იურიდიულ მრჩეველს ლანა მორტონ ოუენსს. შეხვედრაზე ისაუბრეს იურიდიული დახმარების სამსახურის პროექტის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს როგორც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პოპულარიზაციას, ასევე ადვოკატებისთვის სპეციალური სასწავლო კურსების შეთავაზებას. მხარეები შეთანხმდნენ სამომავლო თანამშრომლობაზე.

- **2021 წლის 15 სექტემბერს,** ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის იურიდიული მრჩეველი ლენა ოუენსი ეწვია ბათუმის იურიდიული დახმარების ბიუროს. ლენა ოუენსს უმასპინძლა ბათუმის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსმა იამზე ზანდარაძემ, რომელმაც სტუმარს გააცნო ბიუროს მუშაობის პრინციპი და გაუზიარა პრაქტიკული გამოცდილება.

- **2021 წლის 22 სექტემბერს,** ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის იურიდიული მრჩეველი ლენა ოუენსი და ნარკოტიკებისა და კანონის აღსრულების და საერთაშორისო საქმეების ოფისის წარმომადგენელი სარა რუპერტი ეწვივნენ იურიდიული დახმარების სამსახურს. დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა სტუმრებს გააცნო მიმდინარე რეფორმები.

- **2021 წლის 22 ნოემბერს,** ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ორგანიზებით, იურიდიული დახმარების სამსახურს ესტუმრა ვაშინგტონის შტატის პროკურორი დევიდ მარტინი, რომელიც ოჯახში ძალადობის სპეციალიზაციით მუშაობს. პროკურორმა სამსახურის ადვოკატებსა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს წარუდგინა პრეზენტაცია ოჯახში ძალადობის მიმართულებით ამერიკის შეერთებული შტატების მიდგომებისა და პრაქტიკის შესახებ. პრეზენტაციის შემდგომ გაიმართა დისკუსია ქართულ პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებსა და მათი დაძლევის გზებზე.

- **2021 წლის 30 ნოემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ნინო ჩუტკერაშვილი მონაწილეობდა ყირგიზეთის რესპუბლიკაში LAGS-ის განვითარების ეროვნული ქსელის და საზოგადოებრივი ფონდის "კანონისა და კანონმდებლობის განვითარების ცენტრის" მიერ ორგანიზებულ ონლაინ კონფერენციაში, რომელიც მიეძღვნა უფასო იურიდიული დახმარების სისტემების განვითარებას პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, კერძოდ, „ინოვაციები, გამოწვევები და პერსპექტივები განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე, პარაიურისტთა ინსტიტუტის როლი და ადგილი“. კონფერენციაში ასევე მონაწილეობდნენ უკრაინის, მოლდოვას, ყაზახეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის წარმომადგენლები.

- **2021 წლის 14 დეკემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურს ჩრდილო მაკედონიის იუსტიციის სამინისტროს და ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლები ესტუმრნენ. ვიზიტის

მიზანი იყო საქართველოში მოქმედი უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის შესწავლა და იურიდიული დახმარების სამსახურის მუშაობის პრინციპის გაცნობა. სტუმრებმა გამოხატეს კმაყოფილება ნაყოფიერი შეხვედრისათვის და აღნიშნეს, რომ ჩრდილო მაკედონია გაიზიარებს საქართველოს გამოცდილებას უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის რეფორმირების პროცესში.

- **2021 წლის 17 დეკემბერს,** უკრაინის ეროვნული საავიაციო უნივერსიტეტის ორგანიზებით, ჩატარდა შეხვედრა "ადამიანით ვაჭრობის" საკითხებზე. კონფერენციაში მონაწილეობდნენ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და საქართველოსა და უკრაინაში ტრეფიკინგის თემაზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონფერენციაზე განიხილეს ტრეფიკინგის აღმოფხვრისათვის საჭირო რეგულაციების გაუმჯობესება საერთაშორისო კანონმდებლობაში. იურიდიული დახმარების სამსახურიდან კონფერენციაში მონაწილეობდა ანალიტიკური სამმართველოს ანალიტიკოსი და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ნინო ჩუტკერაშვილი.

## *2. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის საქართველოში, მისი აღმატებულება კელი დეგნანის ვიზიტი*

**2021 წლის 9 ნოემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის ბათუმის ბიუროს ეწვივნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, მისი აღმატებულება კელი დეგნანი, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-კავკასიის დემოკრატიისა და მმართველობის ოფისის კანონის უზენაესობის პროექტის დირექტორი ლია კაპლანი, ამავე პროექტის მენეჯერი რუსუდან ტაბატაძე და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს უმასპინძლა იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის პირველმა მოადგილემ ნინო მელაძემ, რომელმაც სტუმრებს წარუდგინა პრეზენტაცია სამსახურის საქმიანობისა და მიმდინარე რეფორმების შესახებ. ელჩმა კელი დეგნანმა დადებითად შეაფასა სამსახურის საქმიანობა და დააფიქსირა მომავალი მხარდაჭერა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ასევე აჭარაში მოქმედი არასამთავრობო უწყებების წარმომადგენლები. სამსახურის საქმიანობის მოხსენების შემდგომ მხარეებს შორის გაიმართა დისკუსია მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობის საკითხებზე.

შეხვედრის შემდგომ 2021 წლის 24 ნოემბერს, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, მისი აღმატებულება კელი დეგნანის მიერ სამსახურში გამოგზავნილი იქნა მადლობის წერილი, შემდეგი შინაარსით:

„სასიამოვნო იყო თქვენთან შეხვედრა ბათუმში ჩემი ბოლო ვიზიტის დროს. საინტერესო იყო იურიდიული დახმარების სამსახურის მუშაობის გაცნობა საქართველოს მასშტაბით, უფრო კონკრეტულად კი აჭარის რეგიონში. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით გამოვლენილმა ენერგიამ და დამოკიდებულებამ საქართველოს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისადმი. მოუთმენლად ველი თქვენთან შეხვედრას მომავალში ჩვენი დისკუსიების გასაგრძელებლად. შეერთებული შტატები განაგრძობს ერთგულ თანამშრომლობას იურიდიული დახმარების სამსახურთან, რათა მომავალშიც მხარი დავუჭიროთ საქართველოს მოქალაქეებისთვის იურიდიული დახმარების სერვისებზე ხელმისაწვდომობას."



*Embassy of the United States of America*

*Office of the Ambassador*

Tbilisi, Georgia
November 24, 2021

Legal Aid Service Head Office
#140a, David Aghmashenebelo Avenue,
0102 Tbilisi, Georgia

Dear Nino, Sulkhan, David, and Iamze,

It was a pleasure to meet you during my most recent visit to Batumi. It was interesting to learn about the work of the Legal Aid Service around Georgia, and more specifically in the Adjara region. I was extremely impressed by the energy and attitude demonstrated regarding the justice and human rights protections of the most vulnerable parts of Georgia's population.

I look forward to meeting with you again in the future to continue our discussions. The United States remains committed to working with the Legal Aid Service to continue to support access to legal aid services for the citizens of Georgia.

Sincerely,

Kelly C. Degnan
Ambassador

### *3. გაეროს გლობალური შეთანხმების ქსელი (GCNG)*

**2021 წლის 29 მარტს,** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური გაეროს გლობალური შეთანხმების ქსელის (GCNG) ოფიციალური წევრი გახდა. გაეროს გლობალური შეთანხმება მსოფლიოში ყველაზე დიდი კორპორაციული პასუხისმგებლობის ინიციატივაა, რომელიც ადამიანის უფლებებზე ორიენტირებულ, ინკლუზიურ და მდგრად განვითარებას უწყობს ხელს.

# XI. იურიდიული დახმარების საბჭოს საქმიანობა

## იურიდიული დახმარების საბჭო

**2021 წელს,** გაიმართა იურიდიული დახმარების **საბჭოს 12 სხდომა,** სადაც არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

**2021 წელს, იურიდიული დახმარების საბჭომ, სამსახურის დირექტორის წარდგინებით მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატების, კონსულტანტების, სპეციალისტებისა და მძღოლებისათვის ხელფასების გაზრდასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილებით ხელფასების გათანაბრება მოხდა რეგიონისა და თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებისათვის.**

2021 წელს, იურიდიული დახმარების საბჭომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

- იურიდიული დახმარების საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის N86 გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დებულებაში და განისაზღვრა სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროების სახელწოდებები, შეიქმნა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიურო და ჩამოყალიბდა ახალი საკონსულტაციო ცენტრები;

- იურიდიული დახმარების საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის N87 გადაწყვეტილებით დამტკიცდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის საშტატო ნუსხა და თანმშრომლებისათვის გამოყოფილი შრომის ანაზღაურების ზღვრული ოდენობები;

- იურიდიული დახმარების საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის N88 გადაწყვეტილებით დამტკიცდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის თელავისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიუროების სამოქმედო ტერიტორიები;

- იურიდიული დახმარების საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის N89 გადაწყვეტილებით დამტკიცდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის სიმბოლო(ლოგო);

- იურიდიული დახმარების საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის N90 გადაწყვეტილებით ცვლილებები შევიდა „სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფსების წესისა და კრიტერიუმების, სამსახურის სტრატეგიის დამტკიცებისა და კვლევის განხორციელების შესახებ“ იურიდიული დახმარების საბჭოს 2020 წლის 4 ივლისის N75 გადაწყვეტილებაში და გაგრძელდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფსების წესი და კრიტერიუმების მოქმედების ვადა;

- იურიდიული დახმარების საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის N91 გადაწყვეტილებით დამტკიცდა იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (CASE BANK)

ცვლილებები და საკონსულტაციო ცენტრის, იურიდიული დახმარების ბიუროს, მიმწოდებლისა და რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატის ანგარიშგების წესი და ფორმა;

- იურიდიული დახმარების საბჭოს 2021 წლის 02 ივნისის N92 გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დებულებაში, კერძოდ მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ადვოკატებისათვის საქმის გადაცემის წესში;

- იურიდიული დახმარების საბჭოს 2021 წლის 22 ივლისის N93 გადაწყვეტილებით დამტკიცდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდისა და ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროების სამოქმედო ტერიტორიები;

- იურიდიული დახმარების საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს N94 გადაწყვეტილებით არჩეულ იქნა იურიდიული დახმარების საბჭოს ახალი თავმჯდომარე;

- იურიდიული დახმარების საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს N95 გადაწყვეტილებით დამტკიცდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 2022 წლის ბიუჯეტი;

- იურიდიული დახმარების საბჭოს 2021 წლის 27 დეკემბრის N96 გადაწყვეტილებით დამტკიცდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის საშტატო ნუსხა და თანმშრომლებისათვის გამოყოფილი შრომის ანაზღაურების ზღვრული ოდენობები;

- იურიდიული დახმარების საბჭოს 2021 წლის 28 დეკემბრის N97 გადაწყვეტილებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციის საფუძველზე იურიდიული დახმარების გაწევის საგამონაკლისო კრიტერიუმებში შევიდა ცვლილებებს.

# XII. სამსახურის ადმინისტრაციული საქმიანობა

## *1. სამსახურის დოკუმენტბრუნვა*

**2021 წელს,** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დოკუმენტბრუნვა შეადგენდა სულ 17 146 დოკუმენტს. მათ შორის:

- **10281** შიდა დოკუმენტი;
- **2049** მომზადებული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი (ბრძანება და გადაწყვეტილება);
- **3642** შემოსული დოკუმენტი;
- **1174** გასული დოკუმენტი.

**საქართველოს პარლამენტიდან შემოვიდა 132 წერილი.**

**2021 წელს,** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურმა საქართველოს პარლამენტთან 2018 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, რეაგირება მოახდინა 77 მოქალაქის/ბრალდებულის/მსჯავრდებულის განცხადებაზე, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტიდან შემოსული მომართვების საფუძველზე.

**2021 წელს,** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან შემოვიდა 54 წერილი;

**2021 წელს,** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოვიდა 32 წერილი.

## *2. საჯარო ინფორმაციის გაცემა*

**2021 წელს,** საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, სამსახურში შემოვიდა 20 წერილი.

საჯარო ინფორმაცია მოთხოვნილ იქნა შემდეგი პირების მიერ:

- მოქალაქე (3 წერილი);
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (2 წერილი);
- ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC, 2 წერილი);
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM, 1 წერილი);
- საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (Transparency International Georgia, 1 წერილი);
- ა(ა)იპ ბავშვთა უფლებათა დაცვის ცენტრი, 1 წერილი);
- ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი (IRS, 1 წერილი);
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI 3 წერილი);
- ა(ა)იპ ადამიანის უფლებების განვითარების ფონდი, 1 წერილი);

- კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი, 1 წერილი);
- პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (2 წერილი;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 1 წერილი);
- ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) "მედიაცია და არბიტრაჟის დავების გადაწყვეტისათვის" პროექტი, 1 წერილი);

მოთხოვნილი იყო შემდეგი შინაარსის ინფორმაციის გაცემა:

**მოქალაქეთა განცხადებები**

- არასრულწლოვან პირთა მომართვიანობის სტატისტიკა;
- სტატისტიკური ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბენეფიციართა შესახებ გენდერულ ჭრილში;

**საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი**

- სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ინფორმაცია;
- სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისა და სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

**ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)**

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის მიზნით სამსახურის მხრიდან განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია;
- ადვოკატთა სპეციალიზაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- საქმეების განაწილებასთან დაკავშირებული საკითხები;
- სამსახურის მიერ დაგეგმილი რეფორმების შესახებ ინფორმაცია;

**მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)**

- სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოში მყოფი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის გაწეული მომსახურების რაოდენობისა და ფორმის შესახებ, 2014-2020 წლები (ცალ-ცალკე ), წლებისა და მოქალაქეობის მითითებით;

**საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (Transparency International Georgia)**

- 2020 წელს საზოგადოებასთან/მედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის/სამსახურის თანამშრომელთა სრული ოდენობის, მათ შორის შტატგარეშე და მათ მიერ აღებული ხელფასის/პრემიის/ბონუსის/დანამატის სრული ოდენობა წლებისა და თვეების მიხედვით;

**ა(ა)იპ ბავშვთა უფლებათა დაცვის ცენტრი**

• 2020 წლის არასრულწლოვანთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაცია;

**ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი (IRS)**

• 2017 – 2020 წლებია სტატისტიკური ინფორმაცია იურიდიული დახმარების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობის შესახებ (მუნიციპალიტეტების გათვალისწინებით თბილისსა და სხვა რეგიონებში განთავსებული იურიდიული დახმარების ბიუროების გამიჯვნით).

**ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)**

2020 – 2021 წლების მიხედვით:
- თანამდებობის პირებზე დარიცხული ფულადი ჯილდოები და სახელფასო დანამატები;
- საშტატო თანამშრომლების შრომის ანაზღაურება (სარგო, ფულადი ჯილდო, დანამატი ცალ-ცალკე);
- შტატგარეშე თანამშრომლების შრომის ანაზღაურება (სარგო, ფულადი ჯილდო, დანამატი ცალ-ცალკე);
- წარმომადგენლობით ხარჯი;
- ქვეყნის გარეთ განხორციელებული ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯი;
- საშტატო ნუსხა;
- სარეკლამო ხარჯი;
- ადმინისტრაციულ და შრომით ხელშეკრულებები;
- გათავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა;
- მრჩევლის, ექსპერტის და კონსულტანტის პოზიციაზე დასაქმებულ შტატგარეშე მოსამსახურეთა ხელშეკრულებები;
- დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა და მათ შორის, კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრილ თანამშრომელთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში;
- კორონავირუსის გავრცელების საწინააღმდეგო საშუალებების შესყიდვაზე გაწეული ხარჯები საქონლის/მომსახურების და მომწოდებელი კომპანიების მითითებით;
- შიდა აუდიტის ანგარიშები;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესახებ ინფორმაცია;
- საწვავთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- ეთიკის ნორმების, შიდა აღსრულების მექანიზმების, კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტები;
- მხილების შიდა არხების და მამხილებელთა არსებული დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაცია.

**ა(ა)იპ ადამიანის უფლებების განვითარების ფონდი**

- მარტოხელა მშობლის და მარჩენალდაკარგული პირის ოჯახის წევრთა მომართვიანობის სტატისტიკური ინფორმაცია;

**კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი**

- 2020-2021 წწ. სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსიდან“ გამომდინარე საკითხებზე გაწეული კონსულტაციებისა და შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტების რაოდენობის შესახებ, იურიდიული დახმარების ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების მიხედვით.

**პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის**

- სტატისტიკური ინფორმაცია არასრულწლოვნებთან დაკავშირებით;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის მიზნით სამსახურის მხრიდან განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით სამსახურის თანამშრომელთა გადამზადების შესახებ ინფორმაცია;

**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო**

- სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისა და სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

**ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) "მედიაცია და არბიტრაჟის დავების გადაწყვეტისათვის" პროექტი**

- სტატისტიკური ინფორმაცია გენდერულ ჭრილში სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მომსახურების (საქმე/კონსულტაცია) მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობის შესახებ სქესის და არასრულწლოვნის სტატუსის გამიჯვნით.

## *3. სამსახურის ფინანსური ანგარიში*

### *3.1. დაფინანსების წყაროები და ბიუჯეტი*

**„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამსახურის დაფინანსების წყაროებია:**

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
ბ) შემოწირულებები და გრანტები;
გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

**იურიდიული დახმარების სამსახურის 2021 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 7 408 333,87 ლარს. კერძოდ:**

- საბიუჯეტო ასიგნებები 7 300 000 (ლარი);
- გრანტები 108 333,87 (ლარი);

იურიდიული დახმარების სამსახურის ხარჯებმა 2021 წელს შეადგინა 7 349 207,14 (ლარი) - მათ შორის საბიუჯეტო ასიგნებები 7 241 076,79 (ლარი) და გრანტები 108 130,35 (ლარი). მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება - 4 373 500,32 (ლარი);
- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება - 1 764 271,44 (ლარი);
- მივლინების ხარჯები - 58 928,73 (ლარი);
- ოფისის ხარჯები - 430 882,97 (ლარი);
- წარმომადგენლობითი ხარჯი - 45 790,96 (ლარი);
- სამედიცინო ხარჯი - 5 084,00 (ლარი);
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები - 269 908,01 (ლარი);
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 118 041,59 (ლარი);
- სოციალური უზრუნველყოფა - 103 528,64 (ლარი);
- მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული - 12 619,94 (ლარი);
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 166 647,54 (ლარი).

### *3.2. 2021 წლის სახელმწიფო შესყიდვები*

წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ შეადგინა 988 294 ლარი. შესყიდვების გეგმა შესრულდა 99,1%-ით. გაფორმდა 129 ხელშეკრულება, 2 ინტერნეტის გამოწერის გზით (ხელშეკრულების გარეშე) - ჯამში 978 683,04 ლარის ღირებულებით.

- სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში გაფორმდა 124 ხელშეკრულება და 2 ინტერნეტის გამოწერით გზით (ხელშეკრულების გარეშე) თანხით - 958 960,84 , ხოლო გრანტის ფარგლებში გაფორმდა 5 ხელშეკრულება თანხით - 19 722,20 ლარი.

- გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა 92 ხელშეკრულება და 2 ინტერნეტის გამოწერის გზით (ხელშეკრულების გარეშე), თანხით - 443 260,36 ლარი, საიდანაც გრანტით დაფინანსდა 5 ხელშეკრულება თანხით - 19 722,2, ხოლო ბიუჯეტით 87 ხელშეკრულება და 2 ინტერნეტის გამოწერით გზით (ხელშეკრულების გარეშე) თანხით - 434 938,16 ლარი.

- ელექტრონული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 14 ხელშეკრულება, თანხით - 226 266,00 ლარი. ყველა ხელშეკრულება დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
- კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 23 ხელშეკრულება, თანხით - 297 796,68 ლარი. ყველა ხელშეკრულება დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

## *3.3. 2021 წლის სამსახურის მიერ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული თანხები*

სამსახურში მიმდინარე რეფორმებს ფართო მხარდაჭერა აქვს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან, კერძოდ: - „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ USAID/Prolog, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი UNHCR, გაეროს განვითარების პროგრამა UNDP, გაეროს ბავშვთა ფონდი UNICEF.

2021 წელს, დონორ ორგანიზაციებთან წარმატებული მოლაპარაკებების შედეგად სამსახურმა მიიღო 82 000 აშშ დოლარისა და 101 995,55 ლარის გრანტი.

| N | დონორი ორგანიზაცია | აღწერილობა | გრანტის თანხა | |
|---|---|---|---|---|
| 1 | ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, (USAID) აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) - (1725/1950/2158) | იურიდიული სამსახურის პოტენციალის გაზრდა | | 63 988,54 |
| 2 | გაეროს ბავშვთა ფონდი UNICEF (N2137) | ბავშვზე მორგებული ვებგვერდის შექმნა | | 15 000 |
| 3 | ევროპის საბჭო (COE) | ვაქციოთ კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომად | | 10 109 |
| 4 | გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) | როუტერები, როუტერების ლიცენზიები და გარანტიები | | 12 897,89 |
| 5 | ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, (USAID) აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) | იურიდიული სამსახურის პოტენციალის გაზრდა, CASE BANK | 82 000,00 აშშ დოლარი | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სულ: | | 82 000,00 აშშ დოლარი | 101 995,55 ლარი |

## 4. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება

**2021 წელს,** ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის/განვითარების მიმართულებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- თბილისისა და რუსთავის იურიდიული დახმარების ბიუროებში დამონტაჟდა თანამშრომლების დაშვების და აღრიცხვის ელექტრონული სისტემა;

- განხორციელდა ახალი 5 საკონსულტაციო ცენტრის - ახმეტა, დედოფლისწყარო, ხაშური, ლენტეხი და ონის, ტექნიკური უზრუნველყოფა;

- საკონსულტაციო ცენტრებში განხორციელდა იურიდიული დახმარების სამსახურის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის „Eflow"-ს ძველი სერვერიდან ახალ სერვერზე გადატანა ასევე, პარალელურად მოხდა Eflow-ს ბოლო აქტუალური ვერსიის განახლება;

- განხორციელდა იურიდიული დახმარების სამსახურის სასერვეროში არსებული ქსელური აპარატურის და სერვერული სისტემების და იურიდიული დახმარების ბიუროებში არსებული ქსელური აპარატურის მონიტორინგის პლატთფორმის გაშვება. აღნიშნული რეალურ დროში იძლევა სერვერების და ქსელური აპარატურის სხვა და სხვა აუცილებელი მონაცემების და პარამეტრების მონიტორინგის საშუალებას;

- განხორციელდა ახალი დომენური სისტემის LAS.GE-ს აწყობა, გაშვება და იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლების კომპიუტერების ახალ დომენურ სისტემასთან დაკავშირება;

- იურიდიული დახმარების 9 ბიუროში - ახალციხე, ბათუმი, გორი, ზესტაფონი, ქუთაისი, თელავი, მცხეთა, ოზურგეთი და ფოთი, მოხდა ოპტიკურბოჭკოვანი ინტერნეტ კავშირის შეყვანა და დაკავშირების სიჩქარის გაზრდა. ამ ბიუროებში ასევე მოიხსნა ტექნიკურად მოძველებული და დაზიანებული უკაბელო Wi-Fi ქსელის წვდომის წერტილები და დამონტაჟდა ახალი თანამედროვე სტანდარტების უკაბელო Wi-Fi ქსელის წვდომის წერტილები. მათი დაკავშირება კი მოხდა სერვერთან, საიდანაც შესაძლებელია ყველა ბიუროში არსებული უკაბელო წვდომის წერტილების ცენტრალიზებულად მართვა;

- თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში გამოიცვალა მოძველებული ქსელური მარშრუტიზატორი, რომელიც ვერ უძლებდა არსებულ ქსელურ დატვირთვას. გამოიცვალა ასევე უკაბელო Wi-Fi ქსელის წვდომის წერტილებიც;

• იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის თანამშრომლების, იურიდული დახმარების ბიუროს უფროსების და ადვოკატების დისტანციურად მუშაობის უზრუნველყოფისთვის მოხდა ახალ VPN კავშირზე გადაყვანა და ამის განხორციელებისთვის საჭირო ახალი პროგრამული უზრუნველყოფის ჩაწერა, გამართვა და ყოველი თანამშრომლისთვის შესაბამის აპარატურაზე დაშვების უფლების გაწერა;

• მცხეთაში ჩატარდა აღმოსავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიუროსთვის შიდა კომპიუტერული ქსელის მოწყობა, შედგენილ სამუშაოების ჩასატარებლად შერჩეულ კომპანიის მიერ განხორციელებული სამუშაოების კონტროლი და სამუშაოების ჩაბარება.

2021 წელს, გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) სამსახურს გადასცა ქსელური ტექნიკა, რომლის საშუალებითაც რეგიონებში მოხდა ინტერნეტის და შიდა ქსელური მუშაობის სიჩქარის გაზრდა.

2021 წელს, პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში" (PROLoG) მხარდაჭერით განხორციელდა იურიდიული საქმისწარმოების საინფორმაციო სისტემის (case-bank) განახლება და გაშვება.

**განახლებული იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემა (Case-bank) უზრუნველყოფს:**

- საქმეების ელექტრონულ განაწილებას ავტომატურ რეჟიმში, ადვოკატთა რეალური დატვირთულობისა და ვიწრო სპეციალიზაციის გათვალისწინებით;
- სტატისტიკის წარმოებას განახლებული და დეტალიზებული ძებნის პარამეტრებით;
- ბიუროების/ადვოკატების რეალური დატვირთულობის გამოთვლას;
- დაცვის ორდერის ელექტრონულად გამოწერას და აღრიცხვიანობას.
- მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატების მოდულის შერწყმას და ადაპტირებას ბიუროს ადვოკატების მოდულთან, ერთიანი ბაზის შექმნის მიზნით;
- ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ინფორმაციის პირველად დადასტურებას საქმის განაწილების პროცესში.
- საქმეების კატეგორიისა და სირთულის მიხედვით ადვოკატისთვის სავალდებულოდ განსახორციელებელი აქტივობების ავტომატურ განსაზღვრას;
- ადვოკატის მიერ დახარჯული დროის გამოანგარიშებას;
- GPS კოორდინატების სისტემატიზაციას, ადვოკატის მიერ განხორციელებული აქტივობის დადასტურების მიზნით;
- სისტემის მომხმარებლისთვის, სისტემის გამოყენების ინსტრუქციის მარტივ ხელმისაწვდომობას;
- ადვოკატის მიერ საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მარტივად და სწრაფად ასახვის შესაძლებლობას;

- ხარისხის შეფასების მიზნებისთვის, საჭირო ინფორმაციის ეფექტურ დამუშავებას;
- კონსულტაციის მიზნებისთვის სტანდარტული შეკითხვების პაკეტების იდენტიფიცირებას და სისტემატიზაციას შესაბამისი საკონსულტაციო საკითხების მიხედვით;
- მობილური აპლიკაციის / ვებ-გვერდის გამოყენების შესაძლებლობას, რომელსაც გააჩნია შემდეგი ფუნქციები:

✓ კალენდარული შეხსენება;
✓ დაგეგმილი / განხორციელებული აქტივობების თაობაზე ინფორმაციის ასახვა;
✓ საქმის მასალების დასკანერება და ატვირთვა;
✓ GPS მონიტორინგის სისტემა;
✓ ყველა სხვა ფუნქცია, რომელიც გააჩნია იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის (case-bank) კომპიუტერულ ვერსიას.

2021 წელს, პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში" (PROLoG) ფინანსური მხარდაჭერით იურიდიული დახმარების სამსახურს გადმოეცა 30 ცალი ნოუთბუქი (Lenovo V15 G2 ALC), გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატმა(UNHCR) სამსახურს გადმოსცა 11 ცალი ნოუთბუქი (HP ProBook 450 G7), გაერო განვითარების პროგრამამ (UNDP) სამსახურს გადმოსცა 5 ერთეული ქსელური მარშრუტიზატორი.

## *5. მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი*

**2021 წელს,** საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ ადვოკატებს გადაეცათ 966 საქმე. კერძოდ:

| **დარგი** | **რაოდენობა** |
|---|---|
| სისხლის სამართლის საქმეები | 834 |
| სამოქალაქო სამართლის საქმეები | 60 |
| ადმინისტრაციული სამართლის საქმეები | 72 |

**2021 წელს,** მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული იყო 61 ადვოკატი. მათ შორის - 31 ქალი და 30 კაცი.

**2021 წელს,** 6 ადვოკატი, პირადი განცხადებით ამორიცხულ იქნა რეესტრიდან.

საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატების არიან შემდეგი სპეციალიზაციის:

- 26 - სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი;
- 26 - საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი;
- 3 - სამოქალაქოს სპეციალიზაციის ადვოკატი;
- 53 - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი;

- 44 - ბავშვის უფლებებში სპეციალიზებული ადვოკატი.

**2021 წელს,** რეესტრის 3 ადვოკატის მიმართ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ბენეფიციარის განცხადების საფუძველზე, თუმცა არცერთ შემთხვევაში არ დადგინდა ხელშეკრულების შეუსრულებლობის ფაქტი და არ მომხდარა ამ საფუძვლით რეესტრის ადვოკატთან ხელშეკრულების შეწყვეტა.

**2021 წელს,** განხორციელდა საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატების ნაწარმოები 1,147 საქმის ანაზღაურება მათ მიერ წარდგენილი ანგარიშების საფუძველზე. კერძოდ:

- ბათუმი –106 საქმე – 11,335 ლარი;
- ოზურგეთი – 51 საქმე – 6,517 ლარი;
- თბილისი – 364 საქმე – 45,881 ლარი;
- ზესტაფონი – 14 საქმე – 1,179 ლარი;
- ქუთაისი – 123 საქმე – 10,197 ლარი;
- თელავი – 121 საქმე – 10,932 ლარი;
- სიღნაღი – 26 საქმე – 1,830 ლარი;
- მცხეთა – 25 საქმე – 2,935 ლარი;
- ზუგდიდი – 50 საქმე – 5,656 ლარი;
- ფოთი – 10 საქმე – 804 ლარი;
- ახალციხე – 71 საქმე – 7,784 ლარი;
- რუსთავი – 146 საქმე – 16,686 ლარი;
- გორი – 40 საქმე – 3,084 ლარი.

საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატების ნაწარმოებ საქმეებში სამსახურმა სულ გადაიხადა - 124,820 ლარი.

**2021 წელს,** საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატების საქმიანობის მარეგულირებელ აქტებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- **2021 წლის 2 ივნისის, N92 გადაწყვეტილებით,** ცვლილება რეესტრის ადვოკატებისათვის საქმის გადაცემის ნაწილში.

## *6. სამართლებრივი დოკუმენტები*

**2021 წლის 22 იანვარს სამსახურის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის სექსუალური შევიწროების პრევენციის და რეგულირების მექანიზმი და სექსუალური შევიწროების შესახებ საჩივრის ფორმა, რომელიც შემუშავდა პროექტის

„კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) მხარდაჭერითა და ექსპერტის ჩართულობით.

**2021 წელს**, პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/Prolog) მხარდაჭერით განხორციელდა სამსახურის ახალი დებულების, შინაგანაწესისა და შრომის ხელშეკრულების პროექტების შემუშავება. მითითებული დოკუმენტები დეტალურად აწესრიგებენ სამსახურის თანამშრომლეთა, მათ შორის საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის ყველა სფეროს. დოკუმენტების მომზადებისას გამოყენებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის საუკეთესო პრაქტიკა.

## 7. *დისციპლინური წარმოებები*

**2021 წელს** იურიდიული დახმარების სამსახურმა აწარმოვა 54 დისციპლინური საქმე საზოგადოებრივი ადვოკატებისა და კონსულტანტების მიმართ.

აღნიშნული წარმოებებიდან 11 შემთხვევაში წარმოება დაიწყო 2020 წელს და დასრულდა 2021 წელს. მითითებული 11 საქმიდან დისციპლინური სახდელი გამოყენებულ იქნა 3 შემთხვევაში (დისციპლინური სახდელის ზომად გამოყენებულ იქნა გაფრთხილება 2 საქმეზე, საყვედური 1 საქმეზე), 2 საქმეზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება წარმოების შეწყვეტის შესახებ, ხოლო 6 საქმეზე არ დადასტურდა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობები;

**2021 წელს** დაწყებული 43 დისციპლინური წარმოებიდან დასრულდა 29 საქმე. ამ საქმეებში, 4 შემთხვევაში გამოყენებულ იქნა შემდეგი დისციპლინური სახდელები. კერძოდ,

- 1 საქმეზე - თანამდებობრივი სარგოს დაკავება 10% ოდენობით, 4 თვის ვადით;
- 3 საქმეზე - საყვედური ;
- 25 საქმეზე არ დადასტურდა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობები.

2021 წელს დაწყებული 14 დისციპლინური წარმოების საქმის დასრულების თარიღი არის 2022 წელი.

## 8. *სამსახურის მიმართ სასამართლოში მიმდინარე დავები*

**2021 წლის მდგომარეობით, იურიდიული დახმარების სამსახურის მიმდინარე/დასრულებული დავებია:**

- მოსარჩელე: ლ. მ., მოპასუხე: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; დავის საგანი: ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება;

საქმის სტატუსი: მოსარჩელის მოთხოვნის საპასუხოდ წარდგენილია შესაგებელი და შესაბამისი მტკიცებულებები; პროცესი არის მოსამზადებელ ეტაპზე; სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნული არ არის.

- მოსარჩელე: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; მოპასუხე: ნ. გ.; დავის საგანი: ავტოსაგზაო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საქმის სტატუსი: მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მიმდინარეობს მოპასუხისთვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ჩაბარების საკითხს.

- მოსარჩელე: ვ. გ.; გ. შ.; ი. ნ. და სხვები; მოპასუხე: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; დავის საგანი: იურიდიული დახმარების საბჭოს 2020 წლის 4 ივლისის N 75 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ.

საქმის სტატუსი: სამსახურის მიერ სასამართლოში წარდგენილ იქნა შესაგებელი. საქმე არის მოსამზადებელ ეტაპზე. სასამართლოს მიერ მთავარი სხდომა დანიშნული არ არის.

- მოსარჩელე: ვ. გ.; გ. შ.; ი. ნ. და სხვები; მოპასუხე: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; დავის საგანი: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის შინაგანაწესში ცვლილების შეტანის შესახებ (დისციპლინური წარმოება) სამსახურის დირექტორის 2020 წლის 7 სექტემბრის LA 3 20 00000965 ბრძანების ბათილად ცნობა;

საქმის სტატუსი: სამსახურის მიერ სასამართლოში წარდგენილ იქნა შესაგებელი. საქმეზე გაიმართა პირველი მთავარი სხდომა, სადაც მხარეებმა მოახსენეს საკუთარი პოზიციები.

- მოსარჩელე: ვ.გ. მოპასუხე: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; დავის საგანი: დისციპლინური სახდელების ბათილად ცნობა, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, თანხის დაკისრება.

საქმის სტატუსი: სამსახურის მიერ სასამართლოში წარდგენილ იქნა შესაგებელი. საქმე არის მოსამზადებელ ეტაპზე. სასამართლოს მიერ მთავარი სხდომა დანიშნული არ არის.

- მოსარჩელე: ლ.ც. მოპასუხე: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური: დავის საგანი: დისციპლინური სახდელის ბათილად ცნობა.

საქმის სტატუსი: მოსარჩელემ გამოიხმო სარჩელი.

- მოსარჩელე: თ.გ. მოპასუხე: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური: დავის საგანი: დისციპლინური სახდელის ბათილად ცნობა.

საქმის სტატუსი: სამსახურის მიერ სასამართლოში წარდგენილ იქნა შესაგებელი. საქმე არის მოსამზადებელ ეტაპზე. სასამართლოს მიერ მთავარი სხდომა დანიშნული არ არის.

- მოსარჩელე: მ. შ.; მოპასუხე: საქართველოს გენერალური პროკურატურა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო ზრუნვის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტო; სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური. დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება.

საქმის სტატუსი: საქმე არის მოსამზადებელ ეტაპზე.

- მოსარჩელე: ვ.გ. მოპასუხე: სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური; მესამე პირი: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; დავის საგანი: სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის კანონდამრღვევად ცნობა პერსონალურ მონაცემთა არაკანონიერად დამუშავების ნაწილში.

საქმის სტატუსი: საქმეზე სამსახურის მიერ, როგორც მესამე პირის მიერ, წარდგენილ იქნა პოზიცია სარჩელთან დაკავშირებით. საქმე არის მოსამზადებელ ეტაპზე. მთავარი სხდომა სასამართლოს მიერ დანიშნული არ არის.

## *9. სამსახურის მიმართ მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოებები*

**2021 წლის მდგომარეობით, იურიდიული დახმარების სამსახური მონაწილეობდა შემდეგ ადმინისტრაციულ წარმოებებში:**

- ვ.გ. მიმართვის საფუძველზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სამსახურის მიერ წარდგენილ იქნა პოზიცია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში.

საქმის სტატუსი: სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ დასრულდა განცხადების განხილვა, რა დროსაც არ იქნა დადგენილი განმცხადებლის მიერ წარდგენილი დარღვევები. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა განმცხადებლის მიერ სასამართლოში.

